# საქართველოს რესპუბლიკა


დაარსებულია 1918 წელს.


პარასკევი, 30 მაისი, 2014 წელი.

№104 (7485)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## „კრემლი აფხაზურ ოპოზიციაში მყარ დასაყრდენს ეძებს“



8

ანქვაბის გაპრეზიდენტებიდან ძალიან მალე მოსკოვმა დაიწყო მასზე ზეწოლა. კერძოდ, მას საყვედურობდნენ, თუ რატომ უშვებდა სამკურნალოდ ბავშვებს თბილისში.

## თანამედროვე კაცობრიობას სიმშვიდე აკლია



**გუშინ ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში ამაღლების დღესასწაულთან დაკავშირებით საღმრთო ლიტურგია ჩატარდა.**

**ლიტურგიის შემდეგ უწმინდესმა მრევლს ტრადიციული ქადაგებით მიმართა.**

— როცა ვამბობთ — „ჩვენთან არს ღმერთი“, ამით სწორედ ამას ვაღიარებთ. მადლობა უფალს, რომ ჩვენთან არის ღმერთი და მეორე, რაც აკლია კაცობრიობას, ეს არის სიმშვიდე, გეძლევათ ყველას ლოცვა-კურთხევა, შეინარჩუნოთ სიმშვიდე თქვენს გულებში, თქვენს სულებში, ეს ყველაზე მეტად აკლია კაცობრიობას. შევთხოვ უფალს, მოგვცეს სიმშვიდე. სიმშვიდე თუ იქნება, უფალი ჩვენთან იქნება. ამიტომ, მიმართავდა მოციქულებს უფალი ყოველი შეხვედრისას „მშვიდობა თქვენთანა“. როდესაც ადამიანში ღვთის მშვიდობაა, მასში სიყვარული და სიხარული. სიხარული მოდის იმ ადამიანის გულში, რომელსაც უყვარს სხვა ადამიანი, წამს და უყვარს უფალი. ამიტომ, ეცადეთ, სიმშვიდე იყოს თქვენს სახლებში. გეძლევათ ლოცვა-კურთხევა, რომ ხმამაღალი სიტყვით არ ისაუბროთ თქვენს სახლებში, — აღნიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა.

## მილიარდერი პატრიოტი და ღარიბაშვილი შეგვრჩა ხელთ!

11

## ისე, კონსტიტუციაზე როგორა ხარო?

3

## რუსეთ-საქართველოს ომის დრამატული დეტალები

9



## მკვდრადშობილი დეპარტამენტი, რომელიც მალე „ვენოკსაც“ დაიდებს

7

## „რუსთავი 2“-ს სახელი უნდა გადაერქვას!

6

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

გზად მომავლისკენ

# ირაკლი ღარიბაშვილი: საქართველო არის ევროპული სახელმწიფო

## პრემიერ-მინისტრის სიტყვა გერმანიაში კანცლერ მერკელთან შეხვედრის დროს



პირველ რიგში, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო დღევანდელი შეხვედრისთვის ქალბატონ კანცლერს.

დღევანდელი შეხვედრა კანცლერ მერკელთან, ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნების აღმოსავლეთ ევროპელ პარტნიორებთან მნიშვნელოვნად გაღრმავებული ურთიერთობების ნათელი ნიშანია.

ხუთი წლის წინათ „აღმოსავლეთ პარტნიორობამ" გახსნა ახალი შესაძლებლობები ევროკავშირთან თანამშრომლობის გაძლიერებისათვის. ჩვენმა ქვეყანამ ევროპული გზისადმი ერთგულება დაამტკიცა იმით, რომ წარმატებით გავატარეთ დემოკრატიული რეფორმები და მოვახდინეთ ჩვენი საზოგადოების ევროპული ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად მოდერნიზება. ჩვენ განუხრელად მივყვებით ევროინტეგრაციის კურსს, რომელიც ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ქვაკუთხედია. მინდა ხაზი გავუსვა, რომ საქართველოს ევროპული არჩევანი განპირობებულია საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის და ყველა ძირითადი პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერით.

ჩვენ ვამაყობთ, რომ მივაღწიეთ ძალიან მნიშვნელოვან პროგრესს აღმოსავლეთ პარტნიორობით გახსნილი პერსპექტივის განხორციელების თვალსაზრისით. როგორც უკვე აღინიშნა, 27 ივნისს ჩვენ ხელს მოვაწერთ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებას, რომელიც ჩვენი ქვეყნის ევროპეიზაციის სამოქმედო გეგმას წარმოადგენს. ეს არის ერთგვარი სამოქმედო გეგმა, თუ როგორ უნდა მოხდეს ჩვენი ქვეყნის ყველა სფეროს მოდერნიზება.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოებით საქართველო მიაღწევს ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებას და ეკონომიკურ ინტეგრაციას. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ქმნის ძალიან დიდ პერსპექტივას ჩვენი ქვეყნისთვის. რაც მთავარია, ეს შეთანხმება ჩვენს საერთო ღირებულებებს ეფუძნება. საქართველო, როგორც ევროპული სახელმწიფო, და მე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საქართველო არის ევროპული სახელმწიფო, ერთგულად განაგრძობს დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, თანასწორობისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემის განმტკიცებას. საქართველოს მთავრობა მოწოდებულია ეფექტიანად განახორციელოს ასოცირების შეთანხმება, რათა სრულად მიიღოს შეთანხმებით გათვალისწინებული სარგებელი.

ასევე, მინდა, აღვნიშნო, რომ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის პერსპექტივა „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ასპექტია, ასევე, მინდა, აღვნიშნო, რომ ჩვენი საერთო მიზნების წარმატება დიდად არის დამოკიდებული რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის არსებობაზე. ჩვენ ვაფასებთ ევროკავშირის ურყევ მხარდაჭერას საქართველოსადმი, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისადმი საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის" ფარგლებში მიღწეული პროგრესის კვალდაკვალ, ჩვენ ადეკვატურად უნდა ვუპასუხოთ რეგიონში არსებულ ახალ გამოწვევებს. ჩვენმა ქვეყანამ ბოლო ორი წლის განმავლობაში დაამტკიცა, რომ ჩვენ ვართ აბსოლუტურად კონსტრუქციული, პროგნოზირებადი მთავრობა. ჩვენ გვაქვს კონსტრუქციული დიალოგის პოლიტიკა ჩვენს მეზობლებთან, და არა მხოლოდ ჩვენს მეზობლებთან. ჩვენ შევძელით იდეალური ბალანსის დამყარება.

ჩვენ ვიზიარებთ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ევროპის კონტინენტსა და მის მიღმა მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე. ამ კონტექსტში მინდა, აღვნიშნო, რომ საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, ჩაერთოს ევროკავშირის მისიაში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში.

დაბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ „აღმოსავლეთ პარტნიორობამ" ჩვენი ურთიერთობა თვისებრივად ახალ საფეხურზე აიყვანა. ჩვენს ურთიერთობაში იწყება ახალი ეტაპი. ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩათვლით, ეფექტიანი იმპლემენტაცია და საერთო-ევროპული პრინციპებისა და ღირებულებებისადმი ერთგულება ნათლად წარმოაჩენს შესაბამისი აღმოსავლეთ ევროპული სახელმწიფოების ევროინტეგრაციისადმი ბუნებრივ სწრაფვას.

მინდა, აღვნიშნო, რომ მზად ვართ, წარმატებით განვახორციელოთ ჩვენი ევროინტეგრაციის პრიორიტეტები, რათა ევროკავშირთან ერთად ავაშენოთ საერთო მომავალი ევროპულ ოჯახში.

დიდი მადლობა.

ინფორმაცია

### ირაკლი ღარიბაშვილმა ჰერმან ვან რომპეის კარლოს დიდის სახელობის პრემიით დაჯილდოება მიულოცა

დაჯილდოების ცერემონია გერმანიის ქალაქ აახენში გაიმართა. ცერემონიაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და ევროპული საბჭოს პრეზიდენტს ჯილდოს მიღება მიულოცა.

„ძვირფასო ბატონო რომპეი, საქართველოს ხელისუფლებისა და ქართველი ხალხის სახელით გულწრფელად გილოცავთ 2014 წლის კარლოს დიდის სახელობის პრემიით დაჯილდოებას და მადლობას მოგახსენებთ არა მხოლოდ ჩემი ქვეყნის მხარდაჭერისთვის ევროპულ გზაზე წინსვლაში, არამედ თქვენი ფასდაუდებელი წვლილისთვისაც ევროკავშირის კონსოლიდაციისა და შემდგომი განვითარების საქმეში, — მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ევროპის საბჭოს პრეზიდენტს.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, ირაკლი ღარიბაშვილმა სიტყვით გამოსვლისას ყურადღება გაამახვილა ევროკავშირის მნიშვნელობაზე და იმ სარგებელზე, რომელიც ამ ისტორიული მნიშვნელობის გაფართოებას მოაქვს როგორც ახალი წევრი სახელმწიფოებისთვის, მათი ეკონომიკისა და მოქალაქეებისთვის, ასევე ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვისაც.

ინტერპრესი

ინფორმაცია

### 11 დეპუტატს ხელფასი დაექვითა

საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი კახიანის განცხადებით, დეპუტატებს აპრილში გაცდენები არასაპატიო მიზეზებით ჰქონდათ, ამიტომ მათ მაისის ხელფასი დაქვითვით აიღეს. საბოლოოდ, დეპუტატებისთვის ხელფასიდან დაქვითულმა თანხამ 11 ათასი ლარი შეადგინა.

კახიანის განმარტებით, 11 დეპუტატიდან მხოლოდ ერთი იყო უმრავლესობის წარმომადგენელი, დანარჩენები საპარლამენტო უმცირესობის წევრები არიან.

### პარლამენტის 2015 წლის ბიუჯეტი აღარ გაიზრდება

ამის შესახებ განცხადება ბიუროს სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა გააკეთა.

მისი თქმით, საზოგადოებაში ბიუჯეტის მომავალი წლის პარამეტრებმა გარკვეული ვნებათაღელვა გამოიწვია, ამიტომ უმრავლესობის გადაწყვეტილებით, საკანონმდებლო ორგანოს ბიუჯეტი იგივე რჩება, რაც 2014 წელს არის.

„უმრავლესობის პოზიცია ასეთია, რომ მომავალი წლის პარამეტრები დარჩეს იგივე და არ გაიზარდოს. რაც შეეხება გარკვეულ მუხლობრივ ცვლილებებს, ამ საკითხს შემდგომში დავუბრუნდებით, როცა პარლამენტი მუშაობას შეუდგება. ამიტომ პარლამენტის 2015 წლის ბიუჯეტის პარამეტრები 2014 წლის იდენტური იქნება, — განაცხადა უსუფაშვილმა.

თერგი რბის, თერგი ღრიალებს...

# დარიალის ხეობაში კვლავ ორ ცვლად მუშაობენ!

## კომპანიები გზის მალე გახსნას მოითხოვენ, მაგრამ...

**ექსპორტიორები მთავრობას დარიალის ხეობაში მიმდინარე საგზაო სამუშაოების შესახებ კონკრეტული ინფორმაციის მიწოდებას სთხოვენ. ისინი უკვე მოსალოდნელ ზარალზეც ალაპარაკდნენ. ჯერჯერობით ახალი ცნობა გზის საბოლოოდ გახსნის თაობაზე არ არსებობს.**

მთავრობის განკარგულების თანახმად, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა დარიალის ხეობაში სალიკვიდაციო სამუშაოები შეუფერხებლად შეზღუდულ ვადებში, ორ ეტაპად უნდა ჩაატაროს. პირველ ეტაპზე მდინარის კალაპოტისა და საავტომობილო გზის გაწმენდითი სამუშაოები ჩატარდება, ხოლო მეორე ეტაპზე დაზიანებული საავტომობილო გზის შეზღუდულ ვადებში აღდგენა მოხდება.

განკარგულების თანახმად, რომელსაც ხელს პრემიერ-მინისტრი აწერს, ფინანსთა სამინისტრომ, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საავტომობილო გზების დეპარტამენტს, პირველ ეტაპზე 7 მილიონი ლარი უნდა გამოუყოს.

სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისთვის თანხა დუშეთის მუნიციპალიტეტსაც გამოეყო. 660 ათასი ლარით მუნიციპალიტეტმა სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდების, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, სანიაღვრე არხების, ბოგირების, გაბიონების, ნაპირსამაგრი ნაგებობის და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენითი სამუშაოების და მათთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვა უნდა უზრუნველყოს.

ამასობაში, დარიალის ხეობაში, სტიქიის ზონაში საავტომობილო გზების დეპარტამენტი მუშაობის ორცვლიან რეჟიმზე გადავიდა, მაგრამ თუ როდის გაიხსნება გზა, ჯერაც უცნობია. როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვაჟა ფანჩულიძე აცხადებს, დროებითი გზის მეშვეობით მოხერხდა მოწყვეტილი მთის მხარეს ტექნიკისა და მუშების სრულად მობილიზება, საწვავის, საკვების მიწოდება, რამაც მუშაობის ტემპი დააჩქარა. ფანჩულიძე მხოლოდ იმას დასძენს, რომ ტერიტორიაზე, სადაც სამაშველო სამუშაოები სრულდება, გზის მოწყობის სამუშაოები იწყება. რაც შეეხება დროებით გზას, იგი მხოლოდ სამუშაო ტექნიკის გადაადგილებისთვის იქნება გამოყენებული.

ექსპორტიორი კომპანიები კი მთავრობას კონკრეტული ინფორმაციის მიწოდებას სთხოვენ. მათთვის ნებისმიერი ტიპის ცნობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რათა თავიანთი სტრატეგია დაგეგმონ.

კომპანია „ნაბეღლავი", ექსპორტიორების სახელით, მთავრობას დარიალის ხეობაში საავტომობილო გზის აღდგენის შესახებ ინფორმაციის მოწოდებას სთხოვს, რადგან კომპანიებს ექსპორტის აღდგენის შესახებ ინფორმაცია ამ დრომდე არ აქვთ და გაურკვეველ სიტუაციაში რჩებიან.

ალტერნატიული გზების განხილვის პროცესშია „საირმეც". როგორც კომპანიის საექსპორტო განყოფილებაში აცხადებენ, ამ ეტაპზე არ ზარალობენ, თუმცა, თუ გზა ერთ კვირაში არ გაიხსნება, მათ სხვების მსგავსად პრობლემები შეექმნებათ. გაცილებით უკეთეს ვითარებაშია მინერალური წყლის კომპანია „ბორჯომი", რომლის პროდუქციაც რუსეთში, ძირითადად, აზერბაიჯანის გავლით, რკინიგზის საშუალებით შედის.



ყველაზე რთულ ვითარებაში კი მეღვინეები არიან. ამ რამდენიმე თვის წინ მათთვის რუსეთის ბაზარი გაიხსნა და ახლა სტიქიის გამო პროდუქციის ტრანსპორტირებას ვერ ახერხებენ. თუ გზის პრობლემა დროულად ვერ მოგვარდა, ექსპორტიორებს პროდუქციის გადაზიდვისთვის ალტერნატიული გზის გამონახვა მოუწევთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ ტრანზიტის საფასური გაუძვირდებათ, პარალელურად, ბაზარზე პროდუქციის დეფიციტიც გაჩნდება.

„თელავის ღვინის მარნის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ზურაბ რამაზაშვილის შეფასებით, გზის დიდი ხნით ჩაკეტვა ქართული პროდუქციის რუსეთში გადაზიდვებს შეაფერხებს, რაც თავისთავად ექსპორტიორთა შემოსავლებს შეამცირებს. „პროდუქციის გატანა შეფერხდება და დროში გაიწელება, რაც ავტომატურად აისახება კომპანიის შემოსავლებზე", — განუცხადა რამაზაშვილმა რადიო „კომერსანტს".

რუსეთში ღვინის მიწოდება შეჩერებული აქვს კომპანია „მარნისკარსაც". როგორც კომპანიის გენერალური დირექტორი ამბობს, საუბარი უკვე მიდის ალტერნატიული გზების მოძიებაზე, თუმცა, ღვინით დატვირთული მანქანები ამ დრომდე რჩება დარიალის ხეობაში და მიმოსვლის აღდგენას ელოდებიან. ლაშა რევაზიშვილის თქმით, ამ ეტაპზე კომპანია ზარალს არ განიცდის, თუმცა, თუ რუსეთში ექსპორტი დროულად არ აღდგა, ბაზარზე დეფიციტი შეიქმნება.

ბექა დანელია

## კანონი კანონია!




# ისე, კონსტიტუციაზე როგორა ხართ?

ღმერთმა იცოდეს, ამ თემაზე კიდევ ერთხელ საუბრის წამოწყება ნამდვილად არ მინდოდა, მაგრამ როგორც ყველა კანონის პატივისმცემელი ადამიანი, ძალიან განვიცდი, როცა მატყუებენ; ხოლო თუ ვინმეს, თუნდაც პრეზიდენტს ან პრემიერ-მინისტრს გონებაჩლუნგი ან ამქვეყნად მონად მოვლენილი ვგონივარ, მზად ვარ შევახსენო, რომ მწარედ ცდება: მე საქართველოს მოქალაქე ვარ; სწორედ ისა, ვინც თქვენ დაგიქირავათ, ხელფასები და პრივილეგიები მოგანიჭათ და თუ ჭკუით არ მოიქცევით, კობახაბაზობა ან გოგახაჩიძეობა იქნებ სანატრელი გაგიხდეთ.

მოკლედ, ასე — გასულ კვირაში ისევ ძალიან პოპულარული იყო 27 ივნისს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმომწერის თემა: პრეზიდენტი თუ პრემიერი. ჯერ პრეზიდენტის მრჩეველმა ვანო მაჭავარიანმა გვამცნო, კანონის თანახმად ხელშეკრულებაზე ხელი პრეზიდენტმა უნდა მოაწეროსო. მართალია, რაღაც მცირე გაუგებრობა არსებობს, მაგრამ 27 ივნისამდე დიდი დროა და იმედია, ყველაფერი მოგვარდებაო. მაჭავარიანის გამოსვლას ოპერატიულად გამოეხმაურა პრემიერი ღარიბაშვილი, რომელმაც კატეგორიულად განაცხადა, რომ ხელშეკრულებას ხელი უნდა მოაწეროს თვითონ, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ჩვენ, ხელისუფლებაში ასარჩევთა დაპირებებით ყელამდე მაძღარმა საბრალო მოქალაქეებმა ჯერ კიდევ არ ვიცით, რას მოგვიტანს ეს ნანატრი დოკუმენტი (რითაც უკვე ასე ამაყობენ ჩვენი მმართველი პოლიტიკოსები!) და არც ისა, წესით ვის ეკუთვნის მასზე ხელმოწერის პატივი.

მოდი, ჯერ ის ვნახოთ, კანონი რას ამბობს.

**საქართველოს კონსტიტუცია**

მუხლი 69

**3.საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში**

მუხლი 73

1. საქართველოს პრეზიდენტი:

**ა) მთავრობასთან შეთანხმებით აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს;**

მუხლი 78

1. საქართველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

4. პრემიერ-მინისტრი და მინისტრები საგარეო ურთიერთობებში **წარმოადგენენ საქართველოს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.**

მგონი, ყველაფერი ნათელია — საქართველოს უპირველესი კანონი, კონსტიტუცია, ღაღადებს, რომ საერთაშორისო შეთანხმებას (მათ შორის, ევროკავშირთან ასოცირების შესახებაც!) ხელი უნდა მოაწეროს საქართველოს პრეზიდენტმა.

კანონი **„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“**

მუხლი 72

1. **საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური,** ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი, რომელიც საქართველოს კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირებას.

3. **საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში.**

4. საქართველოს პრეზიდენტი:

ა) **მთავრობასთან შეთანხმებით** აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, **დებს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს;**

**ბ) საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“**-„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება (შეთანხმება) დადებულია საქართველოს პრეზიდენტის მიერ, უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს პარლამენტს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების რატიფიცირების, დენონსირებისა და გაუქმების შესახებ, რაც საჭიროებს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას;

მუხლი 74

საქართველოს პრეზიდენტი მთავრობას უთანხმებს **საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ე“ და „ვ“** ქვეპუნქტებითა და მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებს.

ეს კანონიც გვეუბნება, რომ საერთაშორისო შეთანხმებებზე ხელი უნდა მოაწეროს ქვეყნის პრეზიდენტმა მთავრობასთან შეთანხმებით.

მოთმინება მოვიკრიბოთ და ბარემ კიდევ ერთი კანონი ვნახოთ:

**„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“:**

მუხლი 11

**გადაწყვეტილება მოლაპარაკების გამართვისა და საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ**

1. სახელმწიფოთაშორისი და მთავრობათაშორისი ხელშეკრულებების თაობაზე მოლაპარაკების გამართვისა და მათი ხელმოწერის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა განკარგულების სახით, ხოლო **თუ, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულების დადება საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებას განეკუთვნება — (გადაწყვეტილებას იღებს, ავტ.) საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, ბრძანებულების სახით, რომელიც საჭიროებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას.**

ანუ საქართველოს ეს კანონიც, კონსტიტუციიდან გამომდინარე, გარკვევით გვეუბნება, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელი უნდა მოაწეროს **პრეზიდენტმა.**

ლოგიკა ასეთია: ასოცირების შესახებ ხელშეკრულებას ხელი უნდა მოაწეროს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა იმიტომ, რომ ასოცირების ხელშეკრულებას ხელი არ უნდა მოაწეროს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა.

ნება მიბოძეთ, კონსტიტუციის პატივისმცემელი საქართველოს მოქალაქეთა სახელით მივმართო საქართველოს პრეზიდენტს: **ბატონო პრეზიდენტო, იქნებ გვითხრათ, კონსტიტუციის რომელი მუხლი, რომელი კანონი, რომელი კანონქვემდებარე აქტი გვეუბნება, რომ ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს უფლება აქვს თავმდაბლობის, მორცხვობის, ან ვინმე ფრიად პატივცემული და დამსახურებული კერძო პირის შესაძლო განაწყენების შიშის გამო, უარი თქვას თავისი კონსტიტუციური ვალდებულებების შესრულებაზე?**

დიახ, შეგვიძლია გავიზიაროთ მოსაზრება, რომ მთავარია ფაქტი — შეთანხმებაზე ხელმოწერა — და პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს მასზე ხელმომწერის ვინაობას. მაგრამ პრინციპული, ძალიან პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმას, საითკენ მიჰყავს ქვეყანა დღევანდელ აღმასრულებელ ხელისუფლებას — ლიბერალური დემოკრატიისკენ თუ ვულგარული ტოტალიტარიზმისკენ.

ვწუხვარ, მაგრამ უნდა შევახსენო ხელისუფლებას, რომ კანონების უგულებელყოფა არის პირდაპირი გზა დიქტატურისაკენ. ეს თქვენ რომ მართავთ, იმ ქვეყნის ყველა მოაზროვნე მოქალაქემ იცის და თქვენ რომ სამაგალითოდ გვისახავთ, იმ ქვეყნების ყველა მეხუთეხარისხოვანმა ჩინოვნიკმაც. არა მგონია, საკუთარი ქვეყნის კანონებისა და საკუთარი მოქალაქეების დემონსტრაციული აბუჩად აგდებით თქვენს (ჩვენს!) ევროპელ და ამერიკელ მეგობრებს თავი მოაწონოთ. რუსები ხომ თქვენს უკუდოამპარტავნულ დემოკრატიაზე სიცილით ჩაბჟირდებიან.

ამ გაწამაწიაში არის კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის — ძალიან საეჭვოა, ნებისმიერი მნიშვნელობის საქმიდან კონსტიტუციის იგნორირების საფასურად პრეზიდენტის გარიყვის იდეა პრემიერ ღარიბაშვილისგან მოდიოდეს. ასეთი სახის დაპირისპირება კი 1991 წლის დეკემბრისკენ რომ მიგვაბრუნებს, ცხადზე უცხადესია.

ასე რომ არ მოხდეს, იმიტომ ვამბობ ამას, თორემ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ნაცმოძრაობაზე მორიგი რიტუალური გამარჯვების გარდა რომ ბევრს არაფერს ნიშნავს, მეც თქვენსავით მშვენივრად ვიცი.

მე, ამომრჩეველმა ისიც მშვენივრად ვიცი, რომ ერისა და სამშობლოს წინაშე რაიმე დამსახურებისთვის არც პრემიერ ღარიბაშვილისთვის მიმიცია ხმა და არც პრეზიდენტ მარგველაშვილისთვის — ხმა მივეცი ბიძინა ივანიშვილს სააკაშვილის ბინძური დიქტატურის წინააღმდეგ. ამიტომ საქართველოში განვითარებული მოვლენებისთვის, ავისთვის და კარგისთვის, ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობა ეკისრება პერსონალურად ივანიშვილს.

დარწმუნებული ვარ, მან ეს იცის.

**თეიმურაზ ქორიძე.**

26.05.14

## ბაზარი

# გაიზრდება რუსეთში პროდუქციის ექსპორტი?

**რუსეთის ბაზარზე ქართული საექსპორტო პროდუქციის ჩამონათვალი იზრდება. ორი ქვეყნის მოლაპარაკებების შედეგად, გასატანი პროდუქციის ნუსხას რამდენიმე სახეობის ხილ-ბოსტნეული ემატება. რა არის საჭირო იმისთვის, რომ ქართველმა ფერმერმა მეზობელი სახელმწიფოს ბაზარზე პროდუქცია გაყიდოს? — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ახალციხეში ვიზიტის დროს ილაპარაკა.**

მოლაპარაკებების შედეგად, **რუსეთის ბაზარი ქართული ხილისა და ბოსტნეულისთვის იხსნება. საექსპორტო პროდუქციის ჩამონათვალს მაღალი ფიტოსანიტარიული რისკის მქონე მცენარეული წარმოშობის ქართული პროდუქტი — პომიდორი, კიტრი, კომბოსტო, ბადრიჯანი, ახალი კარტოფილი, ბალი, ალუბალი, გარგარი, ატამი, ქლიავი, ხურმა, კივი და კენკროვნები დაემატება.** აღნიშნულ ფაქტს ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი დადებითად აფასებს. მალხაზ ჟუჟუნაძის თქმით, სახელმწიფოს მიერ ეს კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის.

მალხაზ ჟუჟუნაძისგან განსხვავებით, საქართველოს რუსეთთან ბიზნესპარტნიორულ ურთიერთობას ეჭვის თვალით უყურებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივი წარმომადგენელი. გელა დემეტრაძის თქმით, რუსეთი არასაიმედო პარტნიორია და მისი ქმედების პროგნოზირება შეუძლებელია. ამიტომ იგი ფიქრობს, რომ ბიზნესმენების მხრიდან თანხის ჩადება პროდუქციის რუსეთის ბაზარზე გატანის მიზნით ამ ეტაპზე რისკის ტოლფასია. გარდა ამისა, გელა დემეტრაძეს მიაჩნია, რომ საზღვარგარეთის ბაზრის ადგილობრივი ხილ-ბოსტნეულით მომარაგებისთვის საქართველოს რესურსი ჯერჯერობით არა აქვს.

**რუსეთში პროდუქციის გატანის მსურველი ქართველი ფერმერები, თავდაპირველად, საჯარო რეესტრში ბიზნესოპერატორებად უნდა დარეგისტრირდნენ. ასევე, უნდა ფლობდნენ ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატს, რომელსაც სურსათის ეროვნულ სააგენტოში ან შემოსავლების სამსახურში საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ მიიღებენ. გარდა ამისა, მეწარმემ, საბაჟო პროცედურების გავლის მიზნით, ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში საქონლის დეკლარირება უნდა მოახდინოს და წარმოშობის სერტიფიკატი აიღოს.** გურამ ჯინჭველაძეს მიაჩნია, რომ აღნიშნული პროცედურების გავლა ფერმერებისთვის ხელმისაწვდომია, მაგრამ სხვა სირთულეები არსებობს. მისი თქმით, რუსეთში პროდუქციის ექსპორტით სარგებელს უფრო მეტად ქვემო ქართლის ფერმერები მიიღებენ. გურამ ჯინჭველაძე განმარტავს, რომ სამცხე-ჯავახეთში მოსავლის აღება იმ პერიოდს ემთხვევა, როდესაც რუსეთი ბაზარს უკვე საკუთარი პროდუქციით ამარაგებს.

რუსეთის ბაზარზე ქართული ხილ-ბოსტნეულის გატანის ფაქტს ადგილობრივები არაერთგვაროვნად აფასებენ. ზოგიერთ მათგანს მიაჩნია, რომ ამისთვის ქვეყანა ჯერ მზად არ არის. გარდა ამისა, ფიქრობენ, რომ ეს ქართულ ბაზარზე პროდუქციის გაძვირებას გამოიწვევს. საზოგადოების ნაწილისთვის კი ადგილობრივი წარმოების ხილ-ბოსტნეულის ექსპორტი ეკონომიკური წინსვლისთვის საუკეთესო გამოსავალია.

**რუსეთში დაბალი რისკის შემცველი პროდუქციის გატანა 2013 წლის 28 ივნისიდან არის დაშვებული. ამ დროისათვის კი მაღალი რისკის შემცველობის პროდუქტის ექსპორტია შესაძლებელი. რუსეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს უწყების წარმომადგენლები საქართველოს უახლოეს დღეებში ეწვევიან და, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებთან ერთად, საექსპორტო პარტიების ფიტოსანიტარიულ კონტროლს ჩაატარებენ. აღნიშნული პროცედურა სატრანსპორტო საშუალებებში პროდუქციის ჩატვირთვამდე განხორციელდება.**

**მაია ივილაშვილი,**
რადიო „თავისუფლება“

განსჯა

# „მერწმუნეთ, მარგველაშვილი ძალიან გაგვაკვირვებს“

**ეკონომიკური განვითარების ცენტრის თავმჯდომარემ რომან გოცირიძემ ფეისბუქის საკუთარ გვერდზე პოსტი გამოაქვეყნა, რომელშიც პრეზიდენტსა და პრემიერს შორის წარმოქმნილ დაპირისპირებას შეეხო. „ყოველი მხრიდან ისმის უკმაყოფილება და ქილიკი პრეზიდენტსა და პრემიერს შორის არებული უთანხმოების (დაპირისპირებას ვერ ვუწოდებ) შესახებ. როგორც ჩანს, ვიღაცებს მოენატრა საბჭოური ერთსულოვნება. არ აღმოჩნდა მარგველაშვილი ისეთი, ზოგს რომ წარმოედგინა. თითქოს გარიყულია და მთავრობა-პარლამენტიც ერთ ხმაში ებუტება. ზედმეტად აფასებენ თავიანთ როლებს. მთავრობის ბედი ზოგადად ყოველთვის ბეწვზე ჰკიდია. პარლამენტის დათხოვნაც არ არის მთლად ძნელი, თუ მათ დღევანდელ სახეს დავაკვირდებით. პრეზიდენტი არჩეულია თავისი ვადით და ამას ვერაფერი შეცვლის. ის არის ყველაზე დაცული დღეს კონსტიტუციურად, პიროვნულად კი სულაც არ არის სუსტი. ასე, რომ, თუ ამ ფაქტს არ გაუწევენ ანგარიშს, მერწმუნეთ, მარგველაშვილი ძალიან გაგვაკვირვებს“.**

**დეტალებზე სასაუბროდ „ჯი-ეიჩ-ენი“ რომან გოცირიძეს დაუკავშირდა:**



**— ბატონო რომან, იშვიათია ამგვარი შეფასება არსებული უთანხმოების შესახებ. უმეტესობა იმ აზრისაა, რომ ამით, თუნდაც ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის წინ, ევროპელ პარტნიორებთან არასოლიდურად, უფრო მეტიც, სასაცილოდ წარმოვჩინდებით.**

— არ მიმაჩნია ასე. ევროპას უარესიც უნახავს, მაგრამ არავის მოუვიდოდა აზრად ეთქვა, რომ ეს არადემოკრატიულია ან საჩოთიროა. რამდენი წინააღმდეგობა ყოფილა თუნდაც საფრანგეთში მთავრობასა და პრეზიდენტს შორის. ან ახლო წარსულში, პოლონეთში, ან აგერ ახლა, რუმინეთში. რა გვინდა, ყველა პუტინ-მედვედევივით შეხმატკბილებული იყოს?

ზოგჯერ ეს წინააღმდეგობა კონსტიტუციურად არის წაქეზებული (იგივე საფრანგეთში), თუმცა, არავის მოუთხოვია კონსტიტუციის შეცვლა. ზოგს ეს კონსტიტუციის ხარვეზად შეიძლება მიაჩნდეს, ზოგს პირიქით, ხელისუფლების დანაწილების, ურთიერთკონტროლის ქმედით მექანიზმად.

**— თქვენს მიერ აღწერილ შემთხვევებში დაპირისპირება მაშინ ხდება, როცა ხელისუფლების სხვადასხვა შტოს სხვადასხვა პარტიები მართავენ. აქ ის არის გასაკვირი, რომ ერთი გუნდის შიგნით არის უთანხმოება.**

— გუნდური ურთიერთობის პრინციპი ერთია და ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის უფლებამოსილების გამიჯვნა — მეორე. უნდა დაიცვა არა გუნდის ინტერესი, არამედ კანონის უზენაესობის პრინციპი. რა თქმა უნდა, კანონებიც ისე შეიძლება დაიწეროს, რომ მაქსიმალურად იქნას თავიდან აცილებული ასეთი წინააღმდეგობა. გვჭირდება კი ეს? 25 წელია, რაც ერთმმართველობის პირობებში ვცხოვრობთ. გამოვცადოთ პლურალისტური ურთიერთობებიც. ვისწავლოთ ჰორიზონტალურად და არა მკაცრად ვერტიკალური მართვის სისტემის აგება. აი, როცა სასამართლო დადგება თავის სიმაღლეზე და ყველა ხელისუფალს, მათ შორის მმართველ ძალასაც ექნება შიში ნამდვილი სამართლის წინაშე, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ რაღაცისთვის მიგვიღწევია. ვინ წარმოიდგენდა იმას, რომ ბოლო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში იტალიის ფაქტობრივმა მმართველმა, მედიამაგნატმა, მილიარდერმა, გავლენიანი მეგობრების პატრონმა ( პუტინი თუნდაც) , დღეს უკვე სასჯელმისჯილმა სილვიო ბერლუსკონიმ ერთი წლის განმავლობაში იატაკი უნდა ხეხოს რომის მოხუცთა თავშესაფარში? რომ არა ასაკი, უარესსაც მიუსჯიდდნენ. აი, ეს არის დემოკრატია.

დემოკრატიამ სიურპრიზებიც იცის, გაკვირვებაც. ჩვენ არ გვიკვირს პოლიტიკოსების კამათი. დეპუტატების ჩხუბიც კი მოგვწონს, აი რანგით უფრო მაღლა მდგომების — არა. ესეც საბჭოური გადმონაშთია, ცეკას მდივნებისადმი არაცნობიერი მოწიწების სინდრომი. ვერ ვაცნობიერებთ, რომ დემოკრატიის პირობებში ჩვენ ვქმნით ლიდერებს და ჩვენვე ვიცილებთ თავიდან საჭირო დროს და საჭირო გარემოებაში. არ მეგულება ათასი გამოკითხულიდან ორი ადამიანიც კი, რომელიც ჩამოთვლის დამოუკიდებელი საქართველოს ყველა პრემიერ-მინისტრს. ვერც დღევანდელი პარლამენტარების 90 პროცენტი შეძლებს ამას. როგორც მოპასანი იტყოდა, მინისტრები მიდიან და მოდიან. თუმცა, რაღა მოპასანს მივადექი, დიდი შოთა რუსთაველი არ ამბობდა, „იგი წავა და სხვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსაო“? ცოტა მსუბუქად უნდა მივუდგეთ პოლიტიკურ პერსონებს და თუნდაც მათ კინკლაობას. დღეს არიან, ხვალ — არა.

**— ხომ არ არის ეს განპირობებული, პრინციპით: „ნაგავი გარეთ არ უნდა გამოვიტანოთ“?**

— რაღაც მასე გამოდის. ჩვენ ნუ გვაჩვენებენო, სადაო საკითხები გარეთ ნუ გამოაქვთო, კულისებსმიღმა პოლიტიკა გვინდაო. თურმე რა სუსტი გული ჰქონიათ. ნერვებს ნუ გვიშლითო, აცხადებს ექსპერტ-პოლიტიკოს-გულჩვილთა საზოგადოება. უნდა გვიხაროდეს, რომ კაბინეტური, ხალხის ზურგსუკან წარმოებული პოლიტიკის ნაცვლად ღიად მიდის მსჯელობა მნიშვნელოვან საკითხებზე, ხოლო საბოლოოდ ამ დავაში ვინაა მტყუანი და ვინ მართალი, ამ დასკვნას ხალხი თავად გააკეთებს. მე ჩემი დასკვნა უკვე გამოვიტანე.

სკოლა

# საგამოცდო ტესტებისადმი ეჭვი უფრო და უფრო ძლიერდება

**სკოლის გამოსაშვები გამოცდები დასრულდა და სერიოზული მსჯელობის საგნადაც იქცა. საქმე ისაა, რომ წელს წარჩინებულმა ბავშვებმაც კი გაუგონრად დაბალი შეფასება მიიღეს. ისინი და ზოგიერთი ექსპერტიც მიიჩნევს, რომ ტესტებში უამრავი შეცდომა იყო, რასაც გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი, რა თქმა უნდა, არ ეთანხმება.**

**38 ათასზე მეტი მეთორმეტეკლასელიდან სკოლის ატესტატის გარეშე 4% დარჩა.** ისინი, ვერც ეროვნულ გამოცდებში მიიღებენ მონაწილეობას. მეორე შანსი კი მომავალ წელს ამავე დროს ექნებათ.

**21-25 მაისს ერთდროულად 1500-მდე სკოლაში მე-12 კლასელებისთვის გამოსაშვები გამოცდები ჩატარდა. გამოცდები კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტირების ქართული მოდელით, cat-ით ჩატარდა. გამსვლელი ბარიერი ყველა საგანში 5.5 ქულით იყო განსაზღვრული.**

**მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ქართულ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა 2.19%-მა ვერ გადალახა, ინგლისურში — მოსწავლეთა 3.83%-მა, ისტორიაში — 3.89%-მა, რუსულში — 11.85%-მა, გერმანულში — 6.53%-მა, ფრანგულში — 7.9%-მა, გეოგრაფიაში — 1.37%-მა და ფიზიკაში — 3.03%-მა.**

გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილის ივა მინდაძის თქმით, თითქმის ყველა გამოცდა ერთნაირი სირთულის იყო, თუმცა, შედეგებიდან გამომდინარე, მოსწავლეებს ყველაზე მეტად რუსული ენისა და ლიტერატურის გამოცდის ჩაბარება გაუჭირდათ.

რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, ტესტებში არსებულ შეცდომებთან და ტექნიკურ პრობლემებთან დაკავშირებით მინდაძე აცხადებს, რომ ხმები გაზვიადებულია.

**„უშეცდომო არაფერია, თუმცა, ხმები, თითქოს ძალიან ბევრი პრობლემა და ხარვეზი იყო — გადაჭარბებულია. ეს ინფორმაცია, რომ სინამდვილეს შეესაბამებოდეს, ალბათ, უფრო დიდი რეზონანსი მოჰყვებოდა. მოსწავლეებს ტესტები გამოცდიდან ზეპირად, მეხსიერებით გამოაქვთ, შესაძლოა, კარგად აღარც ახსოვდეთ“,** — განაცხადა მინდაძემ.

საგამოცდო ცენტრის მონაცემებს განათლების ექსპერტი მანანა ნიკოლაიშვილი არ იზიარებს და პრემიერ-მინისტრის დონეზე კომისიის შექმნას მოითხოვს, რომელიც გამოცდების ეროვნული ცენტრის იმ ჯგუფის საქმიანობას შეისწავლის, რომელმაც ტესტები მოამზადა.

ნიკოლაიშვილი აცხადებს, რომ წლევანდელ გამოსაშვებ გამოცდებზე წარჩინებულმა მოსწავლეებმა „გაუგონრად დაბალი შეფასება“ მიიღეს. მისი აზრით, ძლიერმა ბავშვებმა საატესტატო გამოცდებში მაღალი ნიშნები პროგრამის გაუმართავად მუშაობის ან ტესტების უხარისხობის გამო ვერ მიიღეს.

**„პრემიერის დონეზე კომისია აუცილებლად უნდა შეიქმნას და მან უნდა გამოიკვლიოს, რატომ მოხდა ისე, რომ ყველა წარმატებულმა ბავშვმა, თითქმის 99%-მა, წელს დაბალი შეფასება მიიღო. წინა წლებში მაღალი შეფასება იწერებოდა, წელს კი წარჩინებულმა ბავშვებმა დაბალი შეფასება მიიღეს.**

**როდესაც ამ ბავშვებს გაუჩნდათ პრეტენზიები, რომ საკუთარი ნამუშევრები ენახათ, მათ ამის უფლება არ მისცეს. ამოუბეჭდონ თავისი პასუხები, ანახონ შეცდომები და მისცენ სწორი პასუხებიც. ამის მერე ვინმეს ხმა აქვს ამოსაღები? როგორ გამოცდას აწყობენ? ამ საქმეს მე ასე არ დავტოვებ. დოკუმენტაციას შევისწავლი, გაურკვეველი არაფერი დარჩება“,** — აცხადებს ნიკოლაიშვილი.



გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი ამ ბრალდებას არასერიოზულს უწოდებს და აცხადებს, რომ გამოცდებმა სერიოზული ხარვეზების გარეშე ჩაიარა.

**„ჩვენი თვითმიზანი არანაირად არ არის, რომ გამოცდები გავართულოთ. პირიქით, ის ზოგადად განათლების დონეს უნდა მოვარგოთ. იმის ანალოგი, რაც ჩვენ ერთიანი ეროვნული გამოცდების ფორმატში დავნერგეთ, არცერთ ქვეყანაში არ არსებობს. არსად პროცესი ასეთი გამჭვირვალე არ არის, როგორც ჩვენთან. ჩვენ ვაძლევთ აბიტურიენტებს იმის საშუალებას, რომ საკუთარი ნამუშევარი ნახონ. ეს არის ასმაგი და ათასმაგი შრომა ჩვენი ორგანიზაციის მხრიდან იმის გამო, რომ საზოგადოების ნდობა მოგვეპოვებინა“,** — აღნიშნა მიმინოშვილმა.

**ბექა დანელია**

ალიან-ჩალიანი

### პარლამენტის მომდევნო სხდომა 27 ივნისს ჩატარდება

**პარლამენტში პლენარული სესიები ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარებამდე არ გაიმართება. ამის შესახებ განცხადება დავით უსუფაშვილმა რიგგარეშე სესიის დასრულების შემდეგ გააკეთა. დავით უსუფაშვილის თქმით, მომდევნო პლენარული სხდომა 27 ივნისს ჩატარდება, თუმცა, კომიტეტებები მუშაობას ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებენ.**

**„27 ივნისი პლენარული სესიის ბოლო დღეა. ჩვენი საკანონმდებლო საქმიანობის მიმდინარეობა იმაზე მიგვანიშნებს, რომ ივლისის პირველ ნახევარში რიგგარეშე სესიაზე შეკრება დაგვჭირდება და ამაზე გადაწყვეტილებას პრეზიდენტთან ერთად მივიღებთ“, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.**

### აშშ გაეროში საქართველოს რეზოლუციას უჭერს მხარს

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, ვაშინგტონში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს ვიქტორია ნულანდს შეხვდა.**

**საქართველოს საგარეო უწყების ინფორმაციით, სახელმწიფო დეპარტამენტში გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოსა და აშშ-ის შორის თანამშრომლობის საკითხები მიმოიხილეს. საუბარი შეეხო საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესს და ამ მიმართულებით არსებულ პროგრესს, საქართველოსა და ევროკავშირს შორის 27 ივნისს დაგეგმილ ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერას. მხარეებმა განიხილეს საქართველო-ნატოს თანამშრომლობის საკითხები.**

**საგარეო საქმეთა მინისტრმა და სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ისაუბრეს ასევე საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებთან მიმართებაში არაღიარების პოლიტიკის საკითხზე. კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ აშშ მხარს უჭერს გაეროში საქართველოს რეზოლუციას.**

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი კიდევ ერთხელ მიესალმა აშშ-ს პრეზიდენტის განცხადებას, ავღანეთში ISAF-ის ოპერაციის დასრულების შემდგომ ქვეყანაში კონტინგენტის შენარჩუნების შესახებ. მინისტრმა დაადასტურა საქართველოს მზაობა განაგრძოს საკუთარი წვლილის შეტანა ამ უმნიშვნელოვანეს ოპერაციაში.**

### სანდრო ბრეგაძე განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნა

**მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნა.**

**სანდრო ბრეგაძე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილის პოსტზე უფლებამოსილების განხორციელებას მიმდინარე წლის 1 ივნისიდან შეუდგება.**

**ბრეგაძის გარდა, დავით დარახველიძეს კიდევ ოთხი მოადგილე ჰყავს.**

**ინტერპრესი**

# მითვისებული იდეა



**რამდენიმე დღის წინათ, ერთ-ერთ ჩემთვის ძვირფას გაზეთში გამოქვეყნდა მასალა სათაურით — „დიმიტრი ყიფიანის 200 წლის იუბილე ხაშურში“, რითაც, სამწუხაროდ, ისეთი მცდარი ინფორმაცია მიეწოდა მკითხველს, რომელიც იმ ღვაწლისა და ამაგის აბუჩად აგდებაა, რაც სასიქადულო მამულიშვილის სახელისა და საქმის პოპულარიზაციისათვის გასწიეს ჩვენმა სახელოვანმა მეცნიერებმა, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებმა, დიმიტრი ყიფიანის თანამემამულეებმა.**

მთელი ეს, ძალიან რბილად რომ ვთქვა, უსიამოვნება გამოწვეულია ცნობილი „ჩოხოსანი რაინდის“ გოგი დოლიძის იმ მცირე ინტერვიუთი, რომელიც მას იმ ჩემთვის ძვირფასი გაზეთის თანამშრომლისთვის მიუცია.

„დიმიტრი ყიფიანის იუბილის ხაშურში აღნიშვნა ჩემი იდეა იყო. სურამ-ხაშურის ეპარქიის მეუფე სვიმონმა აიტაცა ეს იდეა და მხარში ამომიდგა“, — ამას აცხადებს გოგი დოლიძე ინტერვიუს დასაწყისშივე და გასაკვირი სულაც არ არის, რომ გაზეთის თანამშრომელმა ქალბატონმა ხალას ჭეშმარიტებად მიიღო „ჩოხოსანი რაინდების“ წინამძღოლის ნათქვამი და ინტერვიუს ასეთი შესავალი წარუმძღვარა: „26 აპრილს დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის, წმინდანად შერაცხილი დიმიტრი ყიფიანის 200 წლის იუბილე ულამაზესი ღონისძიებით აღინიშნა ქალაქ ხაშურში, სადაც დიმიტრი ყოფიანმა ცხოვრების მნიშვნელოვანი წლები გაატარა. ეს ღონისძიება ჩოხოსან რაინდთა ხელმძღვანელის, რეჟისორ გოგი დოლიძის ინიციატივითა და ორგანიზებით ჩატარდა“.

ამ სრული აბსურდისა და უაზრობის (არ ვამბობ, სიცრუის-მეთქი!) მოწოდებაში, რედაქციის თანამშრომელ ქალბატონს, ვიმეორებ, ბრალი არ მიუძღვის. ეს მცდარი ინფორმაცია (არ ვამბობ, სიცრუე-მეთქი!), ალბათ, მისმა ავტორიტეტულმა ინტერვიუერმა მიაწოდა მას. ამ საქმეს ნათელი თუ არ მოვფინეთ, დამეთანხმებით, დიდი უსამართლობა იქნება იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც დიდი ხანია, ენერგიულად იღვწიან დიდი თანამემამულის სახელისა და საქმის პოპულარიზაციისათვის. ჩემი ეს განზრახვა არა მგონია, ვინმემ საწყენად მიიღოს, მით უფრო გოგი დოლიძემ, რომელიც იმ გაზეთის თითქმის ყოველ ნომერში გულმხურვალედ მიუთითებს თავის ერთობ ცნობილ ნაცნობ-მეგობრებს იმ უამრავ კორექტურულ თუ სტილისტურ შეცდომებზე, რომელსაც იგი დიდი გულმოდგინებით დაძებნის ხოლმე მათ მიერ ახლადგამოქვეყნებულ სქელტანიან წიგნებში. ამისათვის მას, რა თქმა უნდა, მადლობა ეკუთვნის და, ალბათ, ეტყვიან კიდეც მის მიერ გაკრიტიკებული მეგობრები, თუმცა, ეს ჩემი საფიქრალი არ არის. ისე, სიტყვამ მოიტანა და ვთქვი.

ჩემი საფიქრალი რაც არის, ახლავე მოგახსენებთ!

დავიწყებ იმით, რომ, როგორც თქვენც მოგეხსენებათ, დიმიტრი ყიფიანმა ცხოვრების მნიშვნელოვანი წლები ხაშურში კი არა, ხაშურიდან 15 კილომეტრით დაშორებულ ულამაზეს სოფელ ქვიშხეთში გაატარა, სადაც დღეს მისი სახლ-მუზეუმი ფუნქციონირებს და ყიფიანების კარის ეკლესიაშიც ჩვეულებრივ წირვა-ლოცვა მიმდინარეობს. ხაშურში მას ერთი დღეც არ ექნებოდა გატარებული: ვისთან ან რატომ უნდა გაეტარებინა მთელი დღე ხაშურში, რომელიც იმ დროს ახლადაგებული რკინიგზის სადგურსა და მის გარშემო არსებული რკინიგზის მუშების მცირე დასახლებას წარმოადგენდა მხოლოდ. ქვიშხეთი კი ერთ-ერთი უძველესი ისტორიული სოფელია. ცნობილი თავად სუმბათოვის (სუმბათაშვილის) რეზიდენციაც ამ სოფელში იყო და, ალბათ, არისტოკრატი სტუმრების მისვლა-მოსვლის ნაკლებობას არ განიცდიდნენ იქაურები.

სრულიად ბუნებრივია, რომ დიმიტრი ყიფიანის 200 წლის იუბილე, სწორედ, ქვიშხეთში გაიმართა.

იუბილის ორგანიზატორების მიწვევით თბილისიდან მეცნიერ-მკვლევართა და ლიტერატორთა ჯგუფი ქვიშხეთში რომ ჩავედით, ყიფიანების კარის ეკლესიაში წმ. დიმიტრი ყიფიანის მოსახსენიებელი პარაკლისი უკვე დაწყებული იყო, რომელშიც სურამ-ხაშურის ეპარქიის მეუფეც მონაწილეობდა.

პარაკლისის დამთავრების შემდეგ დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ეზოში გაიმართა საიუბილეო-საზეიმო მიტინგი, რომელიც გახსნა ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების დირექტორმა, იუბილის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ცნობილმა მკვლევარმა ისტორიკოსმა თამაზ ლაცაბიძემ. მრავალრიცხოვან დამსწრე საზოგადოებას სიტყვებით მიმართეს მეუფე სვიმეონმა, დიმიტრი ყიფიანის მეექვსე თაობის შთამომავალმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა თამარ მიქაძემ, საქართველოს ლიტერატურის მუზეუმის წამყვანმა მეცნიერმა-მკვლევარმა, პროფესორმა მიხეილ ქავთარიამ, ყიფიანის ღვაწლის ცნობილმა მკვლევარმა, ავტორმა მონოგრაფიისა „მეორე დიმიტრი თავდადებული“, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გურამ ყორანაშვილმა, ცნობილმა პოეტმა შოთა ზოიძემ და სხვებმა. აქვე გაიმართა დაჯილდოება, რომელიც ყოველი წლის 26 აპრილს იმართება ხოლმე „დიმიტრი ყიფიანობის“ უკვე სახალხოდ ქცეულ დღესასწაულთან დაკავშირებით.

ამჯერად, დიმიტრი ყიფიანის შესახებ ზემოთ უკვე ნახსენები შესანიშნავი მონოგრაფიისათვის პროფესორ გურამ ყორანაშვილს გადაეცა „დიმიტრი ყიფიანის მედალი“. დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება-მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ნაშრომების კონკურსში გამარჯვებულმა ხაშურის რაიონის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებმა საპატიო სიგელები და დიპლომები დაიმსახურეს. დასასრულ, მოწვეულმა სტუმრებმა, მრავალრიცხოვანმა დამსწრე საზოგადოებამ დიდი ინტერესით დაათვალიერეს სახლ-მუზეუმში თავმოყრილი მემორიალური მასალები და შთაბეჭდილებათა წიგნშიც ახალი ჩანაწერები გაჩნდა.

**გოგი დოლიძე იმ არემარეზე არავის უნახავს და არც არავის გახსენებია!**

იუბილის აღნიშვნა ჩემი იდეა იყოო, რომ ბრძანებს გოგი დოლიძე, ალბათ, არ იცის, რომ ამ დიდი მოღვაწის დაბადების დღის გრანდიოზული ღონისძიებით აღნიშვნა მას შემდეგ დაიწყო, რაც ქვიშხეთში მისი სახლ-მუზეუმი გაიხსნა — 1989 წლიდან. ამ საქმის მოთავეები იყვნენ და არიან ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების ახლანდელი დირექტორი თამაზ ლაცაბიძე, დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ყოფილი და ახლანდელი დირექტორები გივი გელაშვილი და რევაზ ნოზაძე, ქვიშხეთის სკოლის აღზრდილი, პროფესორი გურამ ყორანაშვილი, ხაშურის რაიონის განათლების ცნობილი ორგანიზატორი, ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პოეტი მურად მთვარელიძე, ქვიშხეთის ყოფილი გამგებელი, შემდეგ ამავე სოფლის სკოლის დირექტორი კლიმენტი სუთიაშვილი, რაიონის ინტელიგენციის და ხელისუფლების წარმომადგენლები.

ქვიშხეთში საიუბილეო ზეიმის დამთავრების შემდეგ გავემგზავრეთ რაიონულ ცენტრ ხაშურში, სადაც კულტურის სასახლეში დაგეგმილი იყო ხაშურის წმ. დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონის მოსწავლეთა მონაწილეობით დიმიტრი ყიფიანისადმი მიძღვნილი მხატვრულ-ლიტერატურული საღამოს გამართვა. ამ ღონისძიების დაგეგმვა-განხორციელებაში აქტიურად იყო ჩაბმული საქართველოს პარლამენტის დეპუტატი ხაშურის რაიონიდან, ცნობილი ბიზნესმენი ვალერი გელაშვილი.

აი, იქ, კულტურის სახლის სცენაზე დაგვხვდა გოგი დოლიძე, თავისი „ჩოხოსანი რაინდებით“ და მერე მიკროფონისათვის ხელი აღარ გაუშვია. იუბილეს ნამდვილმა ორგანიზატორმა მასპინძლებმა კი ბოლომდე დაიცვეს „სტუმარ-მასპინძლობის ჩვენებური პრინციპი“, რომლის მიხედვითაც სტუმარს ყველაფრის უფლება აქვს... იყო ცეკვა-თამაში, სიმღერა და შიგადაშიგ სიტყვებიც, მაგრამ საიუბილეო საღამოს არაფრით ჰგავდა (ამსიგრძე საღამო კი არა, დეკემბრის ღამეც არ იქნებოდეს იქნებ!).

არავინ იფიქროს, „ჩოხოსან რაინდებზე“ რაიმე აუგის თქმა მინდოდეს. ღმერთმა დამიფაროს ამგვარი სურვილისაგან, მაგრამ ჩოხაში გამოწყობა, არა მგონია, თავისთავად იყოს რაინდობა. რაინდობა, ჩემი აზრით, ადამიანის სულიერი მდგომარეობაა, რაც სიკეთის ქმნას, დამკვიდრებასა და დაცვას გულისხმობს, თორემ, არც დიმიტრი ყიფიანს სცმია ჩოხა-ახალუხი, არც ილიასა და აკაკის, მაგრამ როგორი რაინდებიც იყვნენ, ეს თქვენ არავისგან გესწავლებათ. აი, ჩვენმა „ჩოხოსანმა“ პარლამენტარებმა კი უყოყმანოდ აღიარეს: ჩვენ და პედერასტები ზუსტად ერთნაირად ნორმალური ადამიანები ვართ და არავინ მოინდომოს ჩვენს შორის განსხვავების გამოჩხრეკაო. არც ვეცდებით ამას, მაგრამ პედერასტებთან გათანაბრებულ „ჩოხოსანს“ რაინდად ვერ მივიჩნევთ.

დიმიტრი ყიფიანის 200 წლის იუბილეს გამართვა არანაირი „ჩოხოსნების“ იდეა არ ყოფილა და არც გაუმართავთ მათ იგი. ისინი მხოლოდ ტაშ-ფანდურას ხელმძღვანელობდნენ კულტურის სახლის სცენაზე.

„სხვათა შორის, — აღნიშნავს თავის ერთობ მოკლე ინტერვიუში „ჩოხოსნების“ მეთაური, — სწორედ ამ დღეს ხაშურის გამგებელი მამუკა ხაჩიძე გავაწევრე ჩოხოსან-რაინდთა დასში. აწი სწორედ მამუკას დავავალებ ამ საქმეს და მომავალ წელს დიმიტრი ყიფიანის იუბილეს თვითონ მიხედავს“.

ეს განცხადება არ ჰგავს მეფის პირველი ვეზირის ნათქვამს?

რას დაავალებს და როგორ დაავალებს რაიონის გამგებელს, სახელმწიფო მოხელეს, ხალხის არჩეულ პირს იმ საქმის აღსრულებას, რომელიც საერთო-სახალხო საქმეა და მისი პრივატიზაციის უფლება არავის აქვს, მათ შორის არც „ჩოხოსან რაინდთა“ ბელადს. მან თავისი დასის (ჩოხოსნების!) წევრს შეიძლება დაავალოს ამა თუ იმ ფერის ჩოხის ჩაცმა, ისიც თავიანთ შეკრებაზე, თორემ, არა მგონია, ბატონმა მამუკამ, გოგი დოლიძის დავალებით, გამგეობის სხდომები ჩოხაში გამოწყობილმა ჩაატაროს ხოლმე.

ამ პატარა ინტერვიუში თავიდან ბოლომდე ყველა სიტყვა მცდარია (არ ვამბობ, სიცრუეა-მეთქი!) და რა მიკვირს იცით? ამხელა „ჩოხოსან რაინდს“, თავისი მეგობრების სქელტანიან ნაშრომები კორექტურა და სტილისტური ლაფსუსები რომ არ გამოეპარება, ის რატომ ვერ გაიგო, სად ცხოვრობდა ის დიდი მოღვაწე, რომლის იუბილის ჩატარების იდეა დაიბრალა; ან ის მაინც რატომ არავის ჰკითხა, მერამდენედ ჩატარდა წლეულს „დიმიტრი ყიფიანობის“ სახალხო ზეიმი; ქალაქის ცენტრში, სწორედ გამგეობის წინ, სკვერში დადგმული მემორიალური დაფა მაინც ვერ დაინახა, რომელსაც აწერია: „აქ დაიდგმება დიდი მამულიშვილის დიმიტრი ყიფიანის ძეგლი“. სხვა თუ ვერავინ მონახა, მის მიერ ახლადნაკურთხ ჩოხოსანს, რაიონის გამგებელს მაინც ვერაფერი ჰკითხა „ყიფიანობასთან“ დაკავშირებით? ყველაფერს ეტყოდა ის კაცი და ჩვენც ავცდებოდით ამ, არცთუ სასიამოვნო საუბარს.

**ზურაბ ცუცქირიძე,**
**პედაგოგიკის დოქტორი,**
**განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი**

## ⦿ კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

**● თქვენი უუნარობით დემონებივით ჩაუსახლეთ ყველა ადამიანს თავისი წილი თემიდა და ახლა გმობთ ძალადობას?**

**● ოპერატიული სამძებრო ღონისძიების გატარების შედეგად, შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილია ჩაის ჭიქა და მჭიდი 9 საბრძოლო Liptonis ვაზნით.**

**● გირგვლიანი მოკლეს — არავინ არ აღმოჩნდა დამნაშავე!**

**ვაზაგაშვილი მოკლეს — არავინ არ აღმოჩნდა დამნაშავე!**

**რობაქიძე მოკლეს — არავინ არ აღმოჩნდა დამნაშავე!**

**26 მაისს ხალხი ამოჟლიტეს — არავინ არ აღმოჩნდა დამნაშავე! კეზერაშვილს მილიონები აღმოაჩნდა — არ მოუპარავს!**

**ვის ამასხარავებთ, თქვე უსინდისოებო?**

**● დღეს რაღაც სხდომა გამართულა, სათაურით „შეზღუდვები საბჭოთა ჩინოვნიკებს“, სადაც ლევან ბერძენიშვილს, თამარ კორძაიას, წარბა კანდელაკს და მათთანებს, როგორც მივხვდი, უფლებები უნდა შეეზღუდათ, მაგალითად, მჟავანაძისთვის, შარტავასთვის (ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ) და სხვებისთვის... (?!)**

**ფუ, გამჭედი გაგიწყრეთა!!!**

**● ის, რაც აფხაზეთში ხდება, ცუდია.... ცუდია საქართველოსთვის, ცუდია იმ იდეისთვის რასაც ჩვენი და აფხაზების ერთ ქვეყანაში ცხოვრება ჰქვია, ცუდია ალექსანდრე ანქვაბის პოზიციების შესუსტება თუ საერთოდ მისი გაძევება არ მოჰყვა ამას!**

**● ყველა კრეტინული ნაცი ვაკეში გაილახა, ეს წიკლაური რა ძუნძული ყოფილა!**

**● ნაცებო: თქვენიანების ცემამ ისეთი სიხარული მოგვანიჭა, რომ თამამად შეგიძლიათ თქვათ, ტყულად არ გვიცხოვრიაო! აცემინეთ თავები, გაახარეთ ერის უმრავლესობა!**

**● ვის მივცემ ხმას (მერი, მაჟორიტარი, პარტია), ჯერ არ ვიცი.**

**ვის არ მივცემ, — უკვე ვიცი.**

**მე საბურთალოელი ვარ და, რესპუბლიკელების აზრით, ზურაბიშვილმა უნდა გამიკეთოს ის, რაც უსუფაშვილმა დამაკლო?**

**● რა მინდა გკითხოთ: კეზერაშვილი უდანაშაულოდ სცნეს, თავისთავად ეს ფაქტი არაა ვინმეზე ჩაის ჭიქის გადამსხვრევის სამართლიანი საბაბი?**




**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძე**

კოჰაბიტაციას – არა!

# „რუსთავი 2“-ს სახელი უნდა გადაერქვას!

**ბატონ ანზორ თოთაძის, ამ შესანიშნავი პიროვნების, მამულიშვილის, ერის გულშემატკივრის წერილმა „მაესტრო გარუსთავორდა“, რომელიც 23 მაისს ჩვენს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა, კალამი მეც მომამარჯვებინა.**

ჯერ ერთი იგი – რუსთაველი კაცისთვის რუსთავის იარლიყიანი ტელევიზია – პირწმინდად ნაციონალური ბანდის, შიგადაშიგ მოფაშისტოთა მებაირახტრეა, ეს დიდად შეურაცხმყოფელია. რუსთავი ხომ ქვეყნისა და ერის ასაღორძინებლად აშენდა, მკვდრეთით აღსდგა, იმ დიდი ქართველის ძალისხმევით, რომლის სახელსაც ნაგავს აყრიან, ეგ თვით ნაგავ-მენაგვენი, თორემ იმ ავბედით 1944 წელს, როდესაც მსოფლიო ინგრეოდა, საქართველოს ამ გავერანებული კუთხისთვის ვილას ცხელოდა.

რუსთავმა მაშინ გადაარჩინა 5 ათასი რჩეული ვაჟკაცი: რომ არა აქ დიდი მეტალურგიის მშენებლობა, ისინი საზარბაზნე ხორცად ინებოდნენ გამეტებულნი, როგორც ის 700 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი, რომლის ნახევარი უცხო ქვეყანაში, ბრძოლის ველზე დარჩა.

შენდებოდა ქალაქი, შენდებოდა მეტალურგიული კომბინატი, დიდი ქიმია, შემდგომში 44 სამრეწველო საწარმო და ქვეყანას უჩნდებოდა ახალ-ახალი სამუშაო ადგილები, პირველ რიგში მაშინდელი „გეპეის“ კურსდამთავრებულნი, ასევე სხვადასხვა რეგიონის ჭარბი მოსახლეობა, რომელიც იმ ხანად უზარმაზარი საბჭოთა ქვეყნის სივრცეში იკარგებოდა, ამჯერად რუსთავს მოაწყდა, აქ დაფუძნდა, ასე იქმნებოდა კახელ-ქართლელის, იმერეთ-გურიის, აფხაზეთის, სამეგრელო და ქვეყნის ყველა კუთხე-კუნჭულის ახალგაზრდული ოჯახები, ახალი რუსთავის ამღორძინებელთა არმია, ამდენად ქალაქის მოსახლეობამ, 1989 წლის აღწერის მონაცემებით, 160 ათასს გადააჭარბა.

რუსთავი XX საუკუნის უდიდესი მონაპოვარიაო საქართველოსთვის, – ქალაქის საზოგადოებასთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს ბრძანა ქართული სიტყვის დიდოსტატმა კონსტანტინე გამსახურდიამ.

რუსთავი ხომ ისეთივე ძირძველი ქალაქია, როგორიც მცხეთა, თბილისი, ქუთაისი... იგი საქართველოს აღმოსავლეთის კარიბჭის გუშაგი იყო, მისი ციხებურჯი არიში ურიცხვ გადამთიელთ პირველი ხვდებოდა.

რუსთავი ხომ დიდი შოთას საკალმახოც იყო. ანზორ ერქომაიშვილისა და ფრიდონ სულაბერიძის ხელიხელ საგოგმანებელი ანსამბლი „რუსთავი“ ღირსეულად ატარებს ჩემი ქალაქის სახელს. ანსამბლმა „რუსთავმა“ შორს გაიტანა რუსთავის სახელი. ჰოდა, ეს ტელემაუწყებლობა რუსთავი, რომელიც ეროსი კიწმარიშვილმა რუსთავში დააფუძნა, მერე აქაურობა რომ მოაძოვინა და ახალი იარაღი მოუნდა, თბილისში გადააბრძანა, იმ „ვარდების რევოლუციის“ მებაირახტრე გახდა, რომლის ეკლებმაც სისხლისგან დაცალა ქართველი ერი.

ამიტომაც, ესირცხვილებათ რუსთაველებს, რომ ეს ტელევიზია მათი ქალაქის სახელს ამოფარებული, ქვეყანას ჯოჯოხეთად ექცა, ეს აკი ნიკა გვარამიამ, სულით გაყიდულმა, თვითონაც ბრძანა.

ბატონი ანზორი თავის გულისტკივილიან ვრცელ წერილში, „რუსთავი 2“-ზე არაფერს ამბობს, მაგრამ ხელჩაქნევით მიანიშნებს, მას არაფერი ეშველებაო.

ბატონი ანზორი ფრიად შეშფოთებულია ტელემაუწყებელ „მაესტროს“ კოლექტივზე. არადა, „მაესტრო“ ერთ-ერთ იმედად გვიჩნდა იმ 9 წლის განმავლობაში, როდესაც ნაციონალთა ბანდა თაგვებივით ღრნიდა და ხრავდნა საქართველოს, როდესაც მილიონ ნახევარი ქართველი უცხოეთში გადახვეწეს, სოფელი გაანადგურეს, უნიკალური ფაბრიკა-ქარხნები ჯართად გაყიდეს, მაშინ „მაესტროს“ ყოფნა-არყოფნა ბევრჯერ სათუო იყო და მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის, ამ ღვთის კაცის, ქვეყნის განსაცდელის ჟამს უფლის მიერ მოვლენილის ძალისხმევით მოსული ახალი ხელისუფლების ჟამს აყვავდა და გაჯეჯილდა.

რა არის ეს – შური, ბოღმა თუ გულმავიწყობა, თუმცა, გულმავიწყობას როგორ დავაბრალოთ, „მაესტრო“ ერთი კაცი ხომ არ არის?

თუმცა, „მაესტროზე“ ჩემზე პროფესიონალურად ისაუბრა ბატონმა ანზორმა.

ზემოთ ნახსენები ორი ტელეარხი კიდევ ჰო, სხვა ჭირიც რომ არ გვჭირდეს. თითქოსდა საზოგადოებრივი პირველი არხი, სადაც თითქმის სამი ათეული წელი ვიღვაწე, იმ კომუნისტების ხელში ბევრად, შეიძლება ითქვას ასჯერაც ეროვნული იყო, ვინემ დღეს, დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის ჟამს.

გამაოგნებელი იყო შაბათს უგულავას „გულაობა“, ამ დღეს ეს ტელევიზია „რუსთავი 2“-ის ალიკვალი იყო და საერთოდ აქ ნაციონალები უფრო „გულაობენ“, ვინემ ოცნებელები.

ინგა გრიგოლიას დღე „ტელეიმედში“, ეს ხომ იგივე „რუსთავი-2“-ის ჯოჯოხეთია.

ერთი სიტყვით ქართული სატელევიზიო სივრცე ისევ და ისევ ნაძირალა ნაციონალების იდეოლოგიას უპყრია, ისინი შიშის ზარს სცემენ მოსახლეობას. იქედან ისე ჩანს, დღეს თუ ხვალ დავბრუნდებით, და უარეს დღეს დაგაყრითო.



ხალხი ისევ ლაპარაკობს მოახლოებულ გამოსვლებზე, იმ მიტინგებზე, რომლებმაც მდინარესავით გამოუთხარეს საძირკველი მიშისტების ხელისუფლებას და ძირგამოთხრილი უფსკრულში გადაჩეხა.

ჰო, ასე გვეგონა, მაგრამ ნაცები, სამწუხაროდ და საუბედუროდ ისევ ზედაპირზე ტივტივებენ იმ საგანივით, რომლის ხსენებას არ ვიკადრებ.

არადა „ოცნებაც“ რომ სცოდავს და საკმაოდაც?!

**გივი ჯახუა.**

**P. S. გონებაშეზღუდული, დაჩლუნგებული გონების ყრუთა და ბრმათა მოსასყიდად ფულებსაც უხვად ხარჯავენ ნაციონალთა ნარჩენები სააკაშვილისა და უგულავას ხელმძღვანელობით, ამაში მათ ტელევიზიები ეხმარებიან და ზოგიერთი გაზეთიც, არადა, ამაზრზენია ნაციონალების თავხედობა, ანგელოზებად რომ უნდათ მოგვეჩვენონ, თითქოსდა ესენი არ გვარბევდნენ მიტინგებზე, არ გვაპატიმრებდნენ, ოჯახებს არ გვიწიოკებდნენ.**

**დღევანდელ ჩვენს ხელისუფლებაში ერთადერთი ნათელი წერტილი ბატონი ირაკლი ღარიბაშვილია, აკი პრემიერმა მტკიცედ განაცხადა, არავითარი კოჰაბიტაციაო. ხალხს სჯერა მისი.**

**გ. ჯ.**

ალიანჩალიანი

## ხაჯიმბა ანქვაბის გადადგომას ითხოვს

**აფხაზურმა ოპოზიციამ დე ფაქტო ხელისუფლებასთან დიალოგის პირობები დაასახელა. „ინტერფაქსის“ ინფორმაციით, აფხაზური ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა რაულ ხაჯიმბამ განაცხადა, რომ მზად არის, მოლაპარაკებებისთვის, თუ მათი მოთხოვნა განიხილება, ე.წ. პრეზიდენტ ალექსანდრე ანქვაბის გადადგომასთან დაკავშირებით.**

**– თუ მოლაპარაკებები შეეხება შესაბამის ნაბიჯებს გადადგომასთან დაკავშირებით, მაშინ დიალოგის შესაძლებლობა არის. ხოლო, თუ იქნება საუბარი მხოლოდ საუბრისთვის, დროის გასაყვანად, ამას აზრი არ აქვს, – აღნიშნა ხაჯიმბამ. აფხაზური ოპოზიციის წარმომადგენლებს სოხუმში ე.წ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობა და ტელევიზია ამ დრომდე დაკავებული აქვთ.**

## აფხაზეთის საკითხზე მრგვალი მაგიდა გაიმართა

**კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო კვლევით ცენტრში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და ორგანიზაცია „კავკასიელ ხალხთა თანამეგობრობის“ ინიციატივით, დღეს მრგვალი მაგიდა თემაზე: „აფხაზეთი – გამოწვევა და ახალი მიდგომები“ გაიმართა. მრგვალი მაგიდის ფარგლებში ჩატარდა პირველი სამუშაო შეხვედრა.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პრესსამსახურიდან აცნობეს, შეხვედრას ესწრებოდნენ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ციხელაშვილი, სამოქალაქო თანხმობის და კონფლიქტის დარეგულირების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრი ლელა გულედანი, რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მიმისტრის სპეციალური წარმომადგენლის მრჩეველი გიორგი ქაჯაია, ექსპერტი მამუკა არეშიძე და აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე სხვა ექსპერტები, ასევე აფხაზეთის მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.**

**პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე განიხილეს მრავალმხრივი დიპლომატის საკითხეების გააქტიურება საზოგადოებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ დონეზე, სამშვიდობო ინიციატივების გააქტიურება და სისტემური კვლევების ჩატარება მშვიდობის გზების მოძიების მიმართულებით.**

## ვლადისლავ სურკოვი და რაშიდ ნურგალიევი აფხაზეთში შეხვედრებს მართავენ

**რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე ვლადისლავ სურკოვი და რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე რაშიდ ნურგალიევი აფხაზეთში შეხვედრებს განაგრძობენ.**

**ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო უშიშროების მდივნის ნუგზარ აშუბას განცხადებით, ისინი ხვდებიან როგორც დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს, ისე ოპოზიციას. აფხაზური მედიის ინფორმაციით, რუსეთის მაღალჩინოსნების ჩასვლას აფხაზეთში სიტუაციის განმუხტვის თვალსაზრისით „შედეგი არ მოჰყოლია“.**

## არჩევნების შემდეგ თვითმმართველობის მოხელეები მოვალეობის შემსრულებლებად აღარ ჩაითვლებიან

**პარლამენტმა ერთხმად დაამტკიცა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილება, რომლის მიხედვით, 15 ივნისის არჩევნების შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეები დროებით მოვალეობის შემსრულებლად აღარ ჩაითვლებიან. ინიციატივა დეპუტატებმა გიორგი ჟორჟოლიანმა და ვახტანგ ხმალაძემ მოამზადეს.**

**მიღებული ცვლილებების მიხედვით, უქმდება კანონის ნორმა, რომლის შესაბამისად, ადგილობრივი არჩევნების შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა მოხელე დროებით მოვალეობის შემსრულებელი ხდებოდა და მათ უფლებამოსილება თანამდებობების კონკურსის წესით შევსებამდე უნდა განეხორციელებინათ.**

**ამასთან, კანონში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა მოხელე ატესტაციას დაექვემდებარება – კერძოდ, იმ მოხელეთა ჩამონათვალიდან, რომლებიც ატესტაციას არ ექვემდებარებიან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დანიშნული მოხელეები ამოიღეს.**

## ფინანსური მონიტორინგის სამსახური ეროვნული ბანკის შემადგენლობიდან გავიდა

**ფინანსური მონიტორინგის სამსახური ეროვნული ბანკის შემადგენლობიდან გავიდა. პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე მესამე მოსმენით დაამტკიცა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლის მიხედვითაც, ფინანსური მონიტორინგის სამსახური დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბდება. უწყება მთავრობის ზედამხედველობის ქვეშ იმუშავებს, ხოლო მის ხელმძღვანელს პრემიერ-მინისტრი დანიშნავს.**

**ამ მიმართულებით ცვლილებები „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ„ კანონში, „ეროვნული ბანკის შესახებ„ კანონში და „საგადასახადო კოდექსში“ განხორციელდა. პარლამენტის მიერ დამტკიცებული ცვლილებები 1 ივლისიდან ამოქმედდება. საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის თავდაპირველი ვარიანტის თანახმად, განიხილებოდა ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ფინანსთა სამინისტროს სსიპ-ად ჩამოყალიბების საკითხი.**

**ინტერპრესი**

**1945 წლის 8 მაისს ნაცისტური გერმანია თავისსავე ბუნაგში ჩაკლეს. 9 მაისი კი გამოცხადდა ფაშიზმზე გამარჯვების დღედ. მოგვიანებით მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა, რომელშიც მონაწილეობდა 72 სახელმწიფო. ბრძოლები მიმდინარეობდა 40 ქვეყნის ტერიტორიაზე. ბრძოლებში დაიღუპა 62 ადამიანი. მათ შორის, სსრკ-დან 27 მლნ (ომში გაწვეული 720 ათასი ქართველიდან 300 ათასი კაცი). გერმანია — 5,25 მლნ, პოლონეთი — 4,6; იაპონია — 1 მლნ 800 ათასი; იუგოსლავია — 1,7; საფრანგეთი — 8,10; დიდი ბრიტანეთი — 386 ათასი; ფინეთი — 84 ათასი. სამხედრო ხარჯებმა და ზარალმა 4 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა.**

ომში მონაწილეებსა და ვეტერანებს დასავლეთის ქვეყნებში უდიდეს ყურადღებას აქცევენ როგორც მორალურს, ასევე ეკონომიკურს. დიდ ბრიტანეთში მეორე მსოფლიო ომში მონაწილეთა პენსია 2 მლნ დოლარიდან 9 მლნ დოლარამდეა. ამავე ბრძოლების ვეტერან ებრაელებს მთავრობა თვეში 1500 დოლარამდე აძლევს. 12 ათას ჩეხურ კრონას (1070 ლარს) აძლევს ხელისუფლება მეორე მსოფლიო ომის მონაწილე თავის მოქალაქეებს. გერმანიაში, დამარცხებულ ქვეყანაში, ფაშიზმის დროშის ქვეშ მებრძოლ ვეტერანებს სახელმწიფო ყოველთვიურად 1000 ევროს აძლევს, ასევე ყოველთვე გასცემს ვეტერანებზე 1200 დოლარს შეერთებული შტატები, ოღონდ ამას ემატება ასევე ყოველთვიური აშშ-ს მოქალაქის 1500-დოლარიანი პენსია. გარდა ამისა, ამერიკელი ვეტერანები სარგებლობენ უფასო ტრანსპორტით, აქვთ უფლება ყოველწლიურად დაისვენონ თავდაცვის სამინისტროს ბაზაზე აშენებულ სანატორიუმში.

ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში ყველაზე მაღალი პენსიები აქვთ სამამულო ომის მონაწილე რუს ვეტერანებს — 27 ათასი რუბლი (1365 ლარი). აზერბაიჯანში ომში მონაწილეთა პენსია 100 მანათია (225 ლარი); უკრაინაში 369 ლარს გასცემენ, ბელორუსები კი 155 ლარს (იგივე ქვეყნის ფულის ერთეულების ლარის ეკვივალენტებში).

## ბედის ანაბრად მიტოვებული ქართველი ვეტერანები

**დღეისათვის საქართველოში 2210 მეორე მსოფლიო ომის მონაწილეა შემორჩენილი. საერთო რაოდენობის (აფხაზეთი, სამაჩაბლო და სხვა საბრძოლო მოქმედებები) დათვლას ომისა და შეიარაღებული ძალების დეპარტამენტი წლებია ვერ ახერხებს, თუმცა, ამაზე მოთხოვნა არც წინა ხელისუფლების მხრიდან ყოფილა — ისინი მათ ჩარეცხილებად, გამოუსადეგრებად მიიჩნევდნენ.**

ვეტერანთა პენსია გათანაბრებულია რიგითი მოქალაქის პენსიასთან — 150 ლარი, რაზეც დამატებულია სუბსიდია — 44 ლარი. ყველა შეღავათი, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა ვეტერანებს მოუხსნა, დღესაც ძალაშია.

შევარდნაძის პერიოდში მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და ყველა სხვა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეთათვის დაწესდა კომუნალური შეღავათები 200 კვტ/სთ ბუნებრივი აირის, დასუფთავებისა და წყლის მოხმარებისთვის. ვეტერანებს ყოველკვარტალურად ურიგებდნენ ბურღულეულს, თბილ ტანსაცმელს. ყოველივე ამის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ქვეყნის ხელმძღვანელობის პოლიტიკური ნება და ვეტერანთა დეპარტამენტისა და მისი ხელმძღვანელობის (ციციშვილი, გვეტაძე) აქტიურობა და მონდომება.

ხელისუფლებაში „ეკალ-ვარდოსნების“ მოსვლის შემდეგ მათმა ელიტამ ვეტერანები და მონაწილენი მეორეხარისხოვან ხალხად მიიჩნია, დეპარტამენტის ხელმძღვანელებად ყოფილი კმარელები და მხედრიონელები დანიშნა. მოახდინა კომუნალური შეღავათების მონეტარიზაცია და ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანებს ყველანაირი შეღავათები მოუხსნა. მხოლოდ 2210 მეორე მსოფლიო ომის მონაწილეს უწყალობა სუბსიდიები — 44 ლარი და რატომღაც აფხაზეთში ბრძოლების მონაწილეთ მხოლოდ 22 ლარი (სინამდვილეში 24 ლარია, მაგრამ 2 ლარი „ლიბერთი ბანკს“ მომსახურებაში მიაქვს!).



# მკვდრადშობილი დეპარტამენტი, რომელიც მალე „ვენოკსაც“ დაიდებს

მომხდარმა, რასაკვირველია, ნაბრძოლ ხალხში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, მათ ვეტერანთა დეპარტამენტს მიაკითხეს, მაგრამ ამ ორგანომ, იმის მაგივრად, რომ თავისი წევრების უფლებები დაეცვა, ჯერ მათი დაშოშმინება დაიწყო, შემდეგ ძალის გამოყენებით დაემუქრა და დანაპირები რამდენიმეჯერ აღასრულა. აქციები ვეტერანებმა სხვა სახელმწიფო დაწესებულებასთანაც არაერთგზის გამართეს, მაგრამ უშედეგოდ. მათ დასაშლელად პოლიციური ძალაც კი გამოიყენეს, რაზეც, ცხადია, ვეტერანთა დეპარტამენტის გაურკვეველი წარმომავლობის ხელმძღვანელობა მდუმარებით პასუხობდა.

სირაქლემის პოზიცია ეკავა დეპარტამენტს, როდესაც მაღალჩინოსნები სამსახურებიდან ყოველგვარი მიზეზის, გაფრთხილების გარეშე ათავისუფლებდნენ ომის მონაწილეებსა და ვეტერანებს. არადა, კანონით, სამსახურებით პირველ რიგში ამ კატეგორიის ხალხი უნდა დაკმაყოფილდეს, ისევე, როგორც საცხოვრებელი ფართიდან გამოსახლების დროს.

ვეტერანების არაერთგზის სიტყვიერი თუ ოფიციალური მიმართვის მიუხედავად, დეპარტამენტს არასოდეს არ მიუმართავს მთავრობისთვის, ზემდგომი ინსტანციებისთვის შუამდგომლობით, მოთხოვნით, რომ გადაედგათ ქმედითი ნაბიჯები ომის მონაწილეთა სოციალურ-მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ომის მონაწილეთა დეპარტამენტისადმი ნდობა საბოლოოდ შეირყა, როდესაც უკიდურესად მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფმა ვეტერანებმა ხელისუფლებისა და მთავრობის ყურადღების მისაქცევად საპროტესტო, მშვიდობიანი აქციის გამართვა გადაწყვიტეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა მემორიალთან. აქ იყვნენ 70 წელს გადაცილებული მეორე მსოფლიო ომის მონაწილენი და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე შედარებით ახალგაზრდა თაობა. მაგრამ სააკაშვილის ზონდერებმა ასაკის განურჩევლად სცემეს ყველა და აქციის ჩატარების საშუალება არ მისცეს. ამ ვანდალურ აქციაზე ნაციონალების ხელდასხმულმა დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ დუმილი ამჯობინა. სწორედ ამის შემდეგ აქცია დეპარტამენტს ზურგი ომისა და შეიარაღებული ძალების მონაწილეთა დიდმა უმრავლესობამ.

ის, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გარკვეული კონტინგენტი სამშვიდობო მისიებს ასრულებს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში, სხვადასხვა გავლენიანი და წონადი საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით, მართლაც მისასალმებელია. ოპერაციებში ჩართულობამ ბევრად ასწია ჩვენი ქვეყნის იმიჯი და შეიარაღებულ ძალებზე წარმოდგენა. მაგრამ წინა ხელისუფლებამ შეგნებულად, თუ არაპროფესიონალიზმის გამო, არ გაითვალისწინა მათი სტატუსი, სამშვიდობო ოპერაციების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებისას. მათ არც ომში მონაწილისა თუ ვეტერანის წოდება აქვთ და არც სხვა მსგავსი რამ (რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს საკითხი არც ამჟამინდელი ხელისუფლების დროსაა მოგვარებული).

როდესაც სამშვიდობო მისიებიდან დაბრუნებულებმა თავიანთი სტატუსის გარკვევა დეპარტამენტში სცადეს, მათ აქ თინეიჯერი მოხელეებისგან ამგვარი პასუხიც მიიღო — **რა, ძალით გაგიშვით, თქვენით, ფულის გასაკეთებლად წახვედითო.** ამგვარად უყურებდნენ სააკაშვილის ხელისუფლების ახალგაზრდა წარმომადგენლები სამშვიდობო მისიაში ქართველ ვაჟკაცთა როლს.

კიდევ უფრო მკვახე პასუხები აქვთ მოსმენილი მეორე მსოფლიო ომის მხცოვან ვეტერანებს დეპარტამენტის ახალგაზრდა კლერკებისგან — **ჩვენგან რომ რაღაცას ითხოვთ, ომში ჩვენ გაგიშვით? საქართველოსთვის იბრძოდით?.. ჰოდა, ვისთვისაც იბრძოდით, დახმარება იმას სთხოვეთო.** როგორც აღშფოთებული ვეტერანი ლევან რუხაძე გვიყვება, ამგვარი პასუხის მიღების შემდეგ, ომის მონაწილე გრიგოლ ნიკოლაიშვილს გული წაუვიდა. მოსაბრუნებლად საჭირო გახდა სასწრაფოს გამოძახება.

ერთი პერიოდი თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ წამოაყენა წინადადება ომისა და შეიარაღებული ძალების დეპარტამენტი მისი უწყების დაქვემდებარებაში გადასულიყო ან საკურატორო ზონა მაინც გამხდარიყო. წინადადება ხელისუფლებაში მოიწონეს, გარეგნულად, დადებითად გამოეხმაურა მას დეპარტამენტის ხელმძღვანელობაცო, ამბობენ სამხედრო ექსპერტები და იქვე განაგრძობენ, სწორედ დეპარტამენტის „ვერხუშკას“ არ უნდა თავდაცვის სამინისტროსთან შეერთება ან მისი კურატორობა. რამდენადაც დამოუკიდებელ პირობებში უფრო ლაღად არიან, ხოლო მტკიცე კონტროლი შეზღუდავს და შეიძლება დადგეს დრო ძველი დარღვევებისა თუ ცოდვების წამოტივტივებისა.

**ზაზა ბილიხოძე**

## ალიანჩალიანი

### აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრი ჩვენი „დელტათი“ დაინტერესდა

**საქართველოსა და აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრებმა სამხედრო თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. შეხვედრა თავდაცვის სამინისტროში გაიმართა. ირაკლი ალასანიამ და ზაკირ ჰასანოვმა შეხვედრის დასრულების შემდეგ ერთობლივი ბრიფინგი გამართეს.**

**როგორც ირაკლი ალასანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, შეხვედრაზე როგორც ორმხრივ თანამშრომლობაზე, ასევე სამმხრივ — საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის თანამშრომლობაზეც ისაუბრეს.**

**ზაკირ ჰასანოვმა კი აღნიშნა, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები ყველა მიმართულებით ვითარდება.**

**აზერბაიჯანის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი საქართველოში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით იმყოფება. აზერბაიჯანელ კოლეგას, გენერალ-პოლკოვნიკ ზაკირ ჰასანოვს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია მასპინძლობს.**

**გენერალ-პოლკოვნიკმა ზაკირ ჰასანოვმა გმირთა მოედანზე საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო. ესტუმრა ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისს“. ვიზიტის მეორე დღეს, აზერბაიჯანის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი ქართველ კოლეგასთან ერთად ბათუმში გაემგზავრება.**

**აზერბაიჯანული მხარე, შესაძლოა, ქართული წარმოების სამხედრო ტექნიკის შეძენით დაინტერესდეს. ამის შესახებ აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრმა ზაკირ ჰასანოვმა საქართველოს თავდაცვის მინისტრთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე განაცხადა.**

**ზაკირ ჰასანოვის თქმით, აზერბაიჯანი დაინტერესებულია „დელტას“ წარმოებით. მისი ვიზიტის განმავლობაში დაგეგმილია „დელტას“ მიერ წარმოებული სამხედრო ტექნიკის აზერბაიჯანული დელეგაციისთვის გაცნობა.**

### იუსტიციის სამინისტრო კახა კუკავას განცხადებას პასუხობს

**„იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ გამოკითხა თბილისის მერობის კანდიდატი კახა კუკავა, რომელმაც მედიის საშუალებით რამდენიმე დღის წინათ შესაძლო დანაშაულის შესახებ განაცხადა. კერძოდ, მისი თქმით, მას ჰქონდა ინფორმაცია გაყალბებული პირადობის მოწმობების შესახებ.**

**ვინაიდან პირადობის მოწმობების გაცემა იუსტიციის სამინისტროს სისტემის კომპეტენციაა, ბატონი კუკავას ამ განცხადების შემდეგ, იუსტიციის მინისტრისგან მივიღეთ დავალება, გაგვერკვია რა ინფორმაციას ფლობდა იგი პირადობის მოწმობების გაყალბების შესახებ.**

**გამოკითხვისას ბატონმა კუკავამ ვერ დაასახელა ვერც ერთი კონკრეტული გვარი, რომელზეც შეიძლებოდა ყოფილიყო ყალბი მოწმობა გაცემული და ვერც ერთი კონკრეტული გაყალბებული პირადობის მოწმობის შესახებ ინფორმაცია ვერ მოგვაწოდა. მისი ახსნა-განმარტებები მთლიანად ემყარებოდა ვარაუდებსა და შესაძლო სცენარებს.**

**— ეს ვარაუდები გამორიცხავს იმას, რომ სახელმწიფო სისტემაში, მათ შორის იუსტიციის სისტემაში იბეჭდებოდეს გაყალბებული პირადობის მოწმობები, ბ-მა კუკავამ ვერ მიუთითა გაყალბებულ პირადობებზე ან გამყალბებელ პირებზე. შესაბამისად, არ არსებობს იუსტიციის სამინისტროს სისტემის რომელიმე თანამშრომლის მიმართ გამოძიების დაწყების საფუძველი, — ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.**

### თბილისში 14 დევნილ ოჯახს ბინები გადაეცათ

**თბილისში, გლდანში, 14 დევნილ ოჯახს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილე მერაბ მენაბდემ, დევნილთა დეპარტამენტის უფროსმა მურად აბლოთიამ და მისმა მოადგილემ როსტომ კობახიძემ, ახალი ბინების გასაღებები გადასცა.**

**ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გლდანის მესამე მ/რ - ში მდებარე ყოფილი პოლიციის შენობას დევნილთა სამინისტრომ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარა და საცხოვრებლად გადააკეთა.**

**სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა სამშენებლო კომპანიამ შპს „ს.ე.ნ“ განახორციელა. სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულებამ კი, 219 996 ლარი შეადგინა.**

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა დეპარტამენტის უფროსის მურად აბლოთიას განცხადებით, 14 ოჯახი დევნილთა გრძელვადიანი განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად შეირჩა.**

**„დღეს, გლდანში, მესამე მიკრორაიონში, 14 დევნილ ოჯახს გადაეცა საცხოვრებელი ბინები. ჯამში შემოსული იყო 1700 განაცხადი და აღნიშნული 14 ოჯახი კრიტერიუმების მიხედვით შეირჩა. მათ შორის სამი ოჯახი არის ისეთი, რომელსაც სასამართლოს ძალით გამოსახლება და ღია ცის ქვეშ დარჩენა ემუქრებოდათ. დღეს მათ ახალი ბინები გადაეცათ“, — განაცხადა მურად აბლოთიამ.**

**ინტერპრესი**

№104. პარასკევი, 30 მაისი, 2014 წელი.

# „კრემლი აფხაზურ ოპოზიციაში მყარ დასაყრდენს ეძებს“



**აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე, იმაზე, თუ შეიძლება დასრულდეს აფხაზური ოპოზიციის ბუნტი ე.წ. ხელისუფლების წინააღმდეგ, „ინტერპრესნიუსი“ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ხელმძღვანელს ზურაბ შენგელიას ესაუბრა.**

**— ბატონო ზურაბ, იმას, რაც ახლა სოხუმში ხდება, ანქვაბმა „გადატრიალების მცდელობა“ უწოდა. თქვენი აზრით, რეალურად რა შეიძლება იყოს აფხაზური ოპოზიციის გააქტიურების მიზეზი?**

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემისთვის უახლოეს წარსულში ექსკურსის გაკეთება იქნება საჭირო. მას შემდეგ, რაც რუსეთმა ახალი ტექნოლოგია შეიმუშავა, რომელსაც პირობითად რეფერენდუმების პარადი შეიძლება დაერქვას, რუსეთი ყირიმში შევარდა და ძალით ჩაატარა რეფერენდუმი, რომლის შედეგები თავად სცნო და ყირიმი მიიერთა. მიუხედავად იმისა, რომ ლუგანსკსა და დონეცკში რეფერენდუმების შედეგებით რუსეთს არ უხელმძღვანელია, ამ პერიოდში ძალიან საინტერესო მოვლენები განვითარდა რუსულ-აფხაზურ ურთიერთობებში, იმ ვითარებიდან გამომდინარე, რაც ახლა არის —მხედველობაში მაქვს მძიმე სოციალური ვითარება და პრობლემები, ეკონომიკური პრობლემები და ასე შემდეგ.

ორიოდე თვის წინათ მოსკოვში გაიმართა აფხაზეთ-რუსეთის მეგობრობის ჯგუფთან შეხვედრა, რომელზეც მნიშვნელოვანი განცხადება გაკეთდა. ამ შეხვედრაზე ითქვა, რომ აფხაზეთის რუსეთთან რაღაც ფორმით მიერთების საკითხი გადაწყვეტილია. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ამ შეხვედრაზე ერთადერთი კაცი აღმოჩნდა, რომელმაც დასვა შეკითხვა — კი მაგრამ, ვინ გადაწყვიტა ჩვენს გარეშე და რატომ გადაწყდა...

**— ვინ იყო ეს კაცი?**

— თუ ნებას მომცემთ, გვარს ამ ინტერვიუში არ დავასახელებ. ამ შეხვედრის შემდეგ აფხაზეთში დაიწყო მოვლენები, რომელმაც 27 მაისს პიკს მიაღწია. ამ პროცესების პარალელურად, **აფხაზეთში მოხდა ქართველებისათვის აფხაზეთის მოქალაქეობის გაუქმება. აფხაზეთის მოქალაქეობა ჩამოერთვა 26 ათას ქართველს. თანაც ისეთი პირობით, რომ გალში მცხოვრებ ეროვნებით ქართველ ადამიანებს შეუძლიათ, სასამართლოს საშუალებით აღიდგინონ აფხაზეთის მოქალაქეობა, მაგრამ სასამართლოს ძალით მოქალაქეობის აღდგენის პროცესი როდის დაიწყება, დაზუსტებული არ არის.**

გარდა ამისა, ამ პროცესის პარალელურად ტარას შამბამ გააკეთა ასეთი შინაარსის განცხადება — აფხაზეთისთვის ყველაზე საუკეთესო ვარიანტია, ასოცირებული ურთიერთობა ჰქონდეს რუსეთთან. საუბარია აფხაზეთსა და რუსეთს შორის ასოცირებული ურთიერთობების სამართლებრივად გაფორმებაზე. აფხაზეთს რუსეთთან ურთიერთობები ისედაც აქვს, მაგრამ ამჯერად საუბარია ხელშეკრულებაზე „აფხაზეთის სახელმწიფოსა“ და რუსეთს ფედერაციას შორის. ამ განცხადებამ აფხაზეთში საკმაოდ დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, **ამ პერიოდში წარმოიშვა აზრი იმის შესახებაც, რომ ქართველებისთვის აფხაზეთის მოქალაქეობის, შესაბამისად არჩევნებში ხმის უფლების გაუქმება, დაკავშირებულია სწორედ აფხაზეთის რუსეთთან ასოცირებული ურთიერთობების შესახებ რეფერენდუმის სავარაუდო პერსპექტივასთან.** ქართველები **არასდროს დათანხმებიან რუსეთთან უფრო ახლო ურთიერთობას, ისევე როგორც — აფხაზები, ანუ ქართველებისა და აფხაზების საერთო ინტერესია ერთმანეთთან ურთიერთობების აღდგენა. ამ აზრს საკმაოდ დიდი მხარდაჭერა აქვს აფხაზურ ნაციონალისტურ მოძრაობაში. მათ მიაჩნიათ, რომ ქართველებისთვის აფხაზეთის მოქალაქეობისა და, შესაბამისად, ხმის უფლების გაუქმება, ხელს აძლევს რუსეთს და რუსეთის მხარდამჭერ ელემენტებს, ვინაიდან რეფერენდუმის შემთხვევაში ნაციონალისტები წაგებული დარჩებიან.** თუ ქრონოლოგიას გავყვებით, ამავე პერიოდში აფხაზეთში ჩასული იყო რუსეთის პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხებში სურკოვი, რომელმაც სოხუმში ვიზიტისას განაცხადა, რომ ასოცირების შეთანხმებაზე არანაირი საუბარი არ არის. სურკოვი შეეცადა, დაეწყნარებინა აფხაზური პოლიტიკური ჯგუფის ერთი ნაწილი. **ამავე პერიოდში ხდება სხვა რამაც, რასაც ახლა ამ ინტერვიუში პირველად ვამბობ. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჩემთან თბილისში სოხუმიდან ჩამოსული იყო წარმომადგენელი იმ ძალისა, რომელმაც დააფიქსირა და პირველად გაიაზრა, თუ რას ნიშნავს ქართველებისთვის მოქალაქეობისა და ხმის უფლების ჩამორთმევა, ანუ რა საფრთხის მომტანია საკუთრივ აფხაზებისთვის. აფხაზეთში არიან პოლიტიკური ძალები, რომლებმაც პირველებმა გაიაზრეს, რომ გალის მოსახლეობისათვის აფხაზეთის მოქალაქეობის ჩამორთმევა არის ის საკითხი, რომელიც, რა წინააღმდეგობაც არ უნდა იყოს აფხაზებსა და ქართველებს შორის, ორივე მხარის ინტერესში შედის. აფხაზეთიდან თბილისში ჩამოსული იყო კაცი, რომელმაც გვთხოვა — გვიშველეთ!** იქნებ ქართველების აფხაზეთის მოქალაქეობაზე შევიმუშაოთ საერთო პოზიცია თუნდაც მარტო ამ საკითხში. გადავდოთ ყველა სხვა საკითხი, რაც ჩვენს შორის არსებობს. მათი აზრით, აფხაზების რუსეთთან უფრო ახლო ურთიერთობების შემთხვევაში არ არის გამორიცხული, აფხაზეთს რუსეთის ნაწილად გახდის, როგორც ყირიმის შემთხვევაში გაკეთდა, ეს არც ქართულ მხარეს აწყობს და არც - აფხაზურს.

**— ანუ, თქვენი ვერსიით, რაც ახლა აფხაზეთში ხდება, აფხაზეთსა და რუსეთს შორის ასოცირებული ურთიერთობების სამართლებრივად გაფორმებას უკავშირდება?**

— აფხაზური საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ გალში მცხოვრები მოსახლეობისათვის აფხაზეთის მოქალაქეობის ჩამორთმევა რუსეთს გაუიოლებს აფხაზეთში რეფერენდუმის ჩატარებას, აფხაზეთსა და რუსეთს შორის ასოცირებული ურთიერთობების გაფორმებას. იგივე მიზეზი საკმაოდ კარგი საშუალებაა აშკარად პრორუსულად განწყობილი პოლიტიკურად აქტიური წრეებისათვის, აუჯანყდეს პრეზიდენტ ანქვაბს. ამ წრეების აქტიურობა უიოლებს ამოცანას რუსეთს, რომელსაც სურს აფხაზეთის ჩაყლაპვა. ამ პროცესის უცნაურობა გახლავთ ისიც, რომ რუსული პრესა ცდილობს, რაულ ხაჯიმბა წარმოაჩინოს ოპოზიციის ლიდერად. არადა, ამ მოძრაობაში ხაჯიმბა პირველი პირი არ არის, მაგრამ მიუხედავად ამისა, რუსული პრესა რეკლამას სწორედ მას უკეთებს. ოპოზიციის ლიდერების დასახელების რუსულ ვერსიაში სტანისლავ ლაკობაც არ ფიგურირებს, რომლის ორგანიზებითაც გაიმართა სოხუმში საპროტესტო აქციები ანქვაბის წინააღმდეგ.

**— ერთობ გაუგებარ სურათს ვიღებთ — პირველი ვიოლინოს როლს ასრულებენ ადამიანები, რომლებიც ამ პროცესების ლიდერები არ არიან, მათ რეკლამას რუსეთი უკეთებს. იმავდროულად, ყველამ იცის, რომ დე ფაქტო ხელისუფლების ოპონენტია სტანისლავ ლაკობა, რომელსაც რუსული პრესა პრაქტიკულად არც ახსენებს,ანუ რა ხდება, მაინც გაუგებარია...**

— ამიტომაც არის, რომ სოხუმში ჩავიდნენ პრეზიდენტ პუტინის პირადი წარმომადგენელი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხებში სურკოვი და უშიშროების მდივნის მოადგილე ნურგალიევი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობდა. სოხუმში ჩასული სურკოვი მხოლოდ ხაჯიმბას შეხვდა, რაც მიანიშნებს, რომ კრემლი აფხაზურ ოპოზიციაში მყარ დასაყრდენს ეძებს. ჩემს მიერ მოყვანილი ფაქტების ქრონოლოგია აჩვენებს, რომ მოსკოვს სურს, აფხაზეთში მოამზადოს ნიადაგი, რათა მომავალში აფხაზეთი სამართლებრივად გახდეს რუსეთის ნაწილი.

**— იმის გათვალისწინებით, რაც ბრძანეთ, თქვენი აზრით, აფხაზეთსა და რუსეთს შორის ასოცირებული ურთიერთობების საკითხში რა პოზიციებს იზიარებს ანქვაბი და ოპოზიციის ლიდერად წარმოჩენილი ხაჯიმბა?**

— მოკლედ შემიძლია გითხრათ, რომ ანქვაბი იყო პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატი, რომელმაც დასვა საკითხი საქართველოსთან ურთიერთობის შესაძლებლობის შესახებ. მას, სერგეი შამბასა და რაულ ხაჯიმბასაგან განსხვავებით ჰქონდა ასეთი თეზისი — ვინმეს უნდა თუ არა, აფხაზეთი ყველა თავის მეზობელთან უნდა იყოს მუდმივ დიალოგში. დრომ აჩვენა, რომ სოხუმს თბილისთან თანამშრომლობა უნდა ერთადერთ საკითხში, რომ რუსეთმა არ მოახდინოს აფხაზეთის სრული ანექსია. დღევანდელ კონკრეტულ ეტაპზე მათ უნდათ, რომ გალის ქართული მოსახლეობა მათ მხარეზე იყოს.

რაც შეეხება ანქვაბისა და ხაჯიმბას პოზიციებს. ვერ გეტყვით ახლა რა პოზიცია აქვს ანქვაბს. **ანქვაბის გაპრეზიდენტებიდან ძალიან მალე მოსკოვმა დაიწყო მასზე ზეწოლა. კერძოდ, მას საყვედურობდნენ, თუ რატომ უშვებდა სამკურნალოდ ბავშვებს თბილისში. ამგვარი ზეწოლა ანქვაბზე გარკვეულწილად მოულოდნელიც კი იყო. მახსოვს ამ საკითხზე ანქვაბის კომენტარიც — მე ვერ ავიღებ პასუხისმგებლობას ჩემს თავზე, რომ ავადმყოფი ბავშვი, რომელსაც სამედიცინო დახმარება სჭირდება, სამკურნალოდ სადმე წასვლა ავუკრძალო, მით უმეტეს, თუ მას აფხაზეთში დახმარებას ვერ ვუწევთ. მგონია, რომ ანქვაბმა თავი ვერ გაართვა რუსეთის წინააღმდეგ საქართველოსთან ურთიერთობას.**

**— უკაცრავად, ბატონო ზურაბ, მაგრამ ანქვაბს ასეთი მცდელობა ჰქონდა, კი?**

— თავის საპრეზიდენტო პროგრამაში ნამდვილად ჰქონდა.

**— ვიდრე ანქვაბი ბაღაფშის დროს ვიცე-პრეზიდენტი იყო, შემდეგ, როცა პრეზიდენტი გახდა, მას ამგვარი არც განცხადება გაუკეთებია საჯარო სივრცეში და არც რაიმე კონკრეტული ნაბიჯი გადაუდგამს...**

— გეთანხმებით, მას საჯაროდ ამგვარი რამ არასოდეს განუცხადებია. ჩემი აზრით, საჯაროდ ვერც გამოთქვამდა, მაგრამ იმ პერიოდში, მხედველობაში მაქვს მისი საქმიანობა გაპრეზიდენტების შემდეგ, **ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის კომუნიკაციების თვალსაზრისით გაცილებით უკეთესი შესაძლებლობები იყო. გაცილებით მეტი ხალხი ჩამოდიოდა თბილისში, გაცილებით მეტი ხალხი იოლად კვეთდა ე.წ. საზღვარს. ვაჭრობის მსურველები გაცილებით მეტი ჩამოდიოდნენ ლილოს ბაზრობაზე სოხუმისა და გუდაუთის ბაზრებიდან.** ოლიმპიადის მოახლოებამ გაცილებით გაამკაცრა მიმოსვლა.

**— რა გამოდის, ანქვაბს ებრძვიან აფხაზეთის ის პოლიტიკური ძალები, რომლებსაც არ სურთ სოხუმსა და თბილისს შორის დაახლოება?**

— დიახ, ებრძვიან ეგ ძალებიც.

**— პოლიტიკური ჯგუფი, რომლებიც ანქვაბს ოპონირებას უწევენ, ძირითადად არძინბას პოლიტიკური მემკვიდრეები არიან, უფრო სწორად ოპოზიციური სპექტრის კონსოლიდირება ამ ჯგუფის ირგვლივ მოხდა...**

— მე მაინცადამაინც ასე არ ვიტყოდი, თუმცა, ძირითადად ასეა. აქვე უნდა ითქვას, რომ არძინბასა და ხაჯიმბას შორის განსხვავება მაინც არსებობდა. ჩემი აზრით, ოპოზიციის ლიდერად უნდა წარმოაჩინო სწორედ ხაჯიმბა. არადა, მთლად ასე არ არის. **საინტერესოა ისიც, რომ ამ პროცესების ორგანიზატორი სტანისლავ ლაკობა გვერდზეა გაწეული. აშკარაა, რომ მოსკოვს თავად უნდა, მართოს პოლიტიკური პროცესები აფხაზეთში. ამ როლისთვის ლაკობა არ გამოდგება, ვინაიდან გალელებისათვის პასპორტების ჩამორთმევის ინიციატორი სწორედ ლაკობა იყო.** ეს იმის ფონზეც არის საინტერესო, რომ სურკოვმა განაცხადა — არც ერთ მხარეს არ სურს რუსეთთან ურთიერთობების გადახედვა და რუსეთისთვის სულერთია, ვინ უხელმძღვანელებს აფხაზეთსო.

**— თქვენი აზრით, სურკოვისა და ნურგალიევის სოხუმში ვიზიტის შემდეგ როგორ განვითარდება პროცესები?**

— ჩემი აზრით, რუსეთს ძალიან უნდა დამალოს ის, რომ აფხაზეთში დაპირისპირებისათვის უკანასკნელი ნაპერწკალი იყო ტარას შამბას განცხადება — **აფხაზეთისთვის რუსეთთან ასოცირებული შეთანხმება საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა და, რომ აფხაზურმა საზოგადოებამ დააფიქსირა თავისი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება იმის მიმართ, რომ რუსეთმა შეიძლება ამ საკითხზე მაშინ ჩაატაროს რეფერენდუმი, როცა მოუნდება.** რუსეთს ამ მიმართულებით სურს აფხაზეთში პოლიტიკური პროცესების განვითარება. ამისათვის რა ტექნოლოგია იქნება გამოყენებული, ეს უკვე სხვა საკითხია და ამას დრო აჩვენებს.

**— შეიძლება ასეც ითქვას — შეინარჩუნებს თუ არა ანქვაბი ძალაუფლებას და შეძლებს თუ არა აფხაზურ პოლიტიკურ სცენაზე ხაჯიმბა ანქვაბის დამარცხებას, იმაზე იქნება დამოკიდებული, რა პოზიცია ექნება საბოლოოდ ანქვაბს აფხაზეთის რუსეთთან ასოცირებული ურთიერთობების გაფორმების საკითხზე?**

— ეს ძალიან გამარტივებული ხედვა იქნებოდა. კრემლს არ აქვს გამოკვეთილი პოზიცია, ვინაიდან აფხაზეთში განვითარებული პროცესები მისთვის მოულოდნელი იყო. არც სამხრეთ ოსეთში, არც დნესტრისპირეთში არ მომხდარა რუსეთთან ისე მკვეთრი დაპირისპირება, როგორც — აფხაზეთში.

აფხაზეთში დაწყებული პროცესი რუსეთისთვის ახალია, ამიტომ, როგორც ჩანს, თავადაც არ აქვს გამომუშავებული ამ საკითხზე საბოლოო პოზიცია. ამიტომაცაა, რომ ახლა სოხუმში სურკოვი და ნურგალიევი არიან ჩასული. სხვათა შორის, აფხაზეთის ძალოვანებმა მხარდაჭერა ანქვაბს გამოუცხადეს. რამდენად ძლიერია ძალოვანების ანქვაბისადმი მხარდაჭერა, ამის გასარკვევად სოხუმში ნურგალიევია ჩასული.

გარდა ამისა, აფხაზეთის საზოგადოებაში არის ჯანსაღი ძალა. დაწყებული პროცესები იმის მაჩვენებელიც იქნება, თუ რამდენად ძლიერია აფხაზეთში ეს ჯანსაღი ძალა. უნდა ითქვას, რომ აფხაზეთში ძველმა პოლიტიკურმა ძალებმა დაკარგეს მიმზიდველობა. ასე იმიტომ მოხდა, რომ აფხაზეთში არაფერი არ გაკეთებულა. **საზოგადოების მოთხოვნა და დაკვეთაა, წარმოიშვას ახალი პოლიტიკური ძალა. თუ ამჯერად არა, ამგვარი ახალი პოლიტიკური ძალა აფხაზეთში აუცილებლად გაჩნდება.** რუსეთი ცდილობს, ხელი შეუშალოს იმას, რომ ეს პოლიტიკური ძალა არარუსული არ იყოს.

**— თქვენ გაქვთ ურთიერთობა აფხაზური საზოგადოების გარკვეულ წრეებთან. ახლა მათთან ურთიერთობაში რა პრობლემები არსებობს და საერთოდ, რამდენად პერსპექტიულია ეს ურთიერთობები?**

— აფხაზ პარტნიორებთან ურთიერთობა უკვე 15 წელზე მეტი ხანია, გვაქვს. პოლიტიკური პროცესების დინამიკა, რომელიც იქ მიმდინარეობს, ჩვენთვის ცნობილია. ვერ ვიტყვი, რომ ამ პროცესის აქტიური მონაწილეები ვართ, მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით მონაწილეებიც ვართ. ურთიერთობის ერთ-ერთი ფორმა, რომლის საშუალებაც არსებობს, შეიძლება ახლაც განვითარდეს, რაც ძალიან უნდათ აფხაზეთში გაჩენილ ახალ ძალებს.

**— რამდენადაც შესაძლებელია, ჩვენც ვაკვირდებით აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და ამგვარი ძალების აქტიურობა, ყოველ შემთხვევაში აქამდე, არ შეგვიმჩნევია...**

— რას ჰქვია, სად არიან? როგორც კი მოსკოვში ითქვა, რომ აფხაზეთის მომავალი გადაწყვეტილია, სოხუმში თქვეს — უჩვენოდ რატომ გადაწყვიტეთო! ჩემი დაკვირვებით, აფხაზეთში ეს ძალები ახლა ყალიბდებიან. როდესაც ეს ძალები გვთხოვენ, ერთად დავსხდეთ და მოვიფიქროთ, რა ვქნათ, რუსეთის ქმედება ხომ არც ჩვენს და არც თქვენს ინტერესებში არ შედის, რაც ორივეს საერთო სატკივარია, იქნებ ამაზე ვიმსჯელოთ, ეს არის თუ არა მათი მხრიდან კარგი ნაბიჯი. ჩემი აზრით, კარგი ნაბიჯია.

**— თქვენი ინფორმაციით, მათ საუბარი სურთ მხოლოდ გალის რაიონში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის პასპორტიზაციაზე და არა აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის დაბრუნებასა და ამავე მოსახლეობის პასპორტიზაციაზე?**

— არა, რა თქმა უნდა. გალის რაიონის მოსახლეობის პასპორტიზაციის თემა გარკვეული აზრით მოძველდა. მას შემდეგ, რაც ქართული დიასპორა აფხაზეთში უფრო დინამიკური გახდა ვაჭრობის გააქტიურების ხარჯზე, იმის ხარჯზე, რომ სომხური დიასპორა უფრო სოჭისკენ გაემართა და ეკონომიკური აქტივობები იქ დაიწყო, აფხაზეთის ჩრდილოეთის სივრცე ქართველებმა დაიკავეს. სოხუმში მუშაობს ე. წ. გალის ბაზარი, გალის ვულკანიზაცია და ასე შემდეგ. ასე რომ, საუბარი არ არის მხოლოდ გალის რაიონის მოსახლეობაზე.

**— რამდენადაც ვიცი, აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ქართველების დაბრუნების საკითხში ერთიანი კონსოლიდირებული აზრი არ არსებობს, უფრო პირიქით, ქართველების უმეტესობას გალის რაიონის გარდა დაბრუნება არც წარმოუდგენია...**

— ყოველ შემთხვევაში, ამ აზრის შეცვლის პერსპექტივა გამოჩნდა. ისინი თავადაც ხვდებიან, რომ ქართველები საჭირონი ხდებიან აფხაზური საზოგადოებისთვის და ამ თემაზე საუბარი უკვე შეიძლება. ეს არ არის ის ერთადერთი აზრი და ანალიზი, რომელიც შეიძლება გამოიტანო აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებიდან. თუმცა, მგონია, რომ ეს ახლოს არის სინამდვილესთან და იმასთან, თუ რა ხდება დღეს აფხაზეთში. **მე ბედნიერი ვიქნებოდი, თუ ჩვენი ხელისუფლება აფხაზეთთან მიმართებაში უფრო ღრმა ანალიზს გააკეთებდა, ანუ ამ თემების მიმართ ჩვენი ხელისუფლება უფრო მეტ ინტერესს გამოიჩენდა. ჩვენი ურთიერთობებიდან გამომდინარე, მე მგონია, რომ აფხაზეთის თემატიკა საერთაშორისო ურთიერთობებშიც ცოტა უკანა პლანზეა გადასული. ასე მოხდა ობიექტური მიზეზების გამო, მხედველობაში მაქვს უკრაინაში განვითარებული პროცესები. კარგი იქნება, თუ ახლა გააქტიურდება, მაშინ როდესაც აფხაზური საზოგადოების დიდ ნაწილს ამ ერთ საკითხზე აქვს ძალიან დიდი მოთხოვნილება ჩვენთან ურთიერთობისა კი არა, ჩვენი დახმარებისა.**

**კოკა ბენდელიანი**

მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

# რუსეთ-საქართველოს ომის დრამატულ დეტალებზე იმსჯელეს

**ჩვენ ბევრი ვერსია მოგვისმენია 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ: ტალიავინის დასკვნა, ექსპერტთა შეფასებები, პოლიტიკოსთა მოსაზრებები, ზოგადად, საზოგადოების დამოკიდებულება ამ ომის მიმართ და ა. შ. მაგრამ ნაკლები ვიცით იმის შესახებ, თუ რას ფიქრობენ ისტორიკოსები, მეცნიერები, რომელთაც სხვა თუ არაფერი, მოუწევთ ზრუნვა — უახლესი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში შეიტანონ ომის დეტალები. დაცლილი ყოველგვარი სუბიექტური მოსაზრებებისგან, უზუსტესი რეალობის ამსახველი მშრალი ფაქტები. ამიტომაც საინტერესოა, რას ფიქრობენ ისინი, როგორია თანამედროვე ჟამთააღმწერელთა ხედვა.**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისიამ და ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრმა აგვისტოს ომს სამეცნიერო კონფერენცია მიუძღვნა. სხდომა ეროვნული აკადემიის დარბაზში გაიმართა, სადაც ქართველი ისტორიკოსები შეეცადნენ მეცნიერულად დასაბუთებული პასუხები გაეცათ იმ კითხვებზე, რომელიც ხუთდღიან ტრაგიკულ მოვლენებს უკავშირდება.

კონფერენცია გახსნა აკადემიკოსმა **დავით მუსხელიშვილმა,** რომელმაც ამ ომს რუსეთისთვის უაღრესად სამარცხვინო ფურცელი უწოდა: **„სამწუხაროდ, რუსული ინტელიგენციის ნაწილი აღფრთოვანებული იყო ამ ომით, რუსებმა კამპანია ჩაატარეს საქართველოს გასათავისუფლებლადო, იწერებოდა პრესაში, მაგრამ ვისგან და რა ფორმით ათავისუფლებდნენ საქართველოს, გაუგებარია. ჩვენთვის ცნობილია რუს ხელისუფალთა ორგანული ფლიდობა, იმედია, უკრაინის მაგალითზე თვალი აეხილება დაბრმავებულ ევროპასაც. ფაქტობრივად, არ ვიცით, რა მოხდა იმ 5 დღის განმავლობაში, შეიძლებოდა თუ არა ომის თავიდან აცილება, ვინ დაიწყო ომი. დღევანდელ სამეცნიერო კონფერენციაზე შეეცდებიან ამ კითხვებს პასუხი გასცენ“,** — აღნიშნა მან.

ომის დეტალების მიმოხილვა საქართველოს ხელისუფლების საშინაო პოლიტიკის შეფასებით დაიწყო პროფესორმა **ალექსანდრე დაუშვილმა.** მისი აზრით, შიდა პოლიტიკას ტრაგიკული ზიგზაგები ახასიათებდა, რომელმაც შექმნა განცდა საზოგადოების ინდიფერენტულობისა. მას მაგალითად მოჰყავს როლანდ ასმუსის წიგნში „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა“ ასახული პასაჟი, სადაც ნათქვამია, ომი მძვინვარებდა, მაგრამ ხალხი რესტორნებში ატარებდა დროსო. ისტორიკოსის თქმით, სავარაუდოდ, ასმუსს ეს ფაქტი ფრანგმა დიპლომატებმა გაუზიარეს, რათა გაენეიტრალებინათ ომის ტრაგიკულობა. თუმცა, არც უმაგისობა იყო: **„ხალხის ინდიფერენტულობას განაპირობებდა არასახარბიელო სოციალურ-ეკონომიკური პირობები, პოლიტიკური ვითარება, საკადრო რევოლუცია, ინფლაცია... ხალხი კრიტიკულად იყო განმსჭვალული ხელისუფლების მიმართ. ხელისუფლება, თავის მხრივ, ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ დემოკრატიული იყო; რეალურად კი შორს ვიყავით ამისგან. ამ წლებში უწმინდესის ეპისტოლეში გახმიანდა სიტყვა „ტირანიაც“ კი“...** ასე შეაფასა ისტორიკოსმა იმდროინდელი საქართველოს ყოფიერება.



თუმცა, რუსეთი ომისთვის დიდი ხანია, აშკარად ემზადებოდა. იყო თუ არა ამ ომის თავიდან აცილება შესაძლებელი და როგორ მზადდებოდა ტრაგედია, ამაზე საკმაოდ ვრცელი მოხსენებით წარდგა ისტორიკოსი **უჩა ბლუაშვილი: „კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების სანაცვლოდ, კრემლმა ევროპას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარებით უპასუხა. რუსეთი ომის სამზადისში იყო, მაგრამ საქართველოც ემზადებოდა ომისთვის, ოღონდ არა თავდაცვითი, არამედ შეტევითი ომისთვის, რაც უკვე იყო საბედისწერო შეცდომა“.** მიმომხილველის აზრით, ჩვენი ხელისუფლება მცდარი შეხედულების ტყვეობაში იმყოფებოდა. ფიქრობდნენ, რომ რუსეთი იმხანად დაუცველი და სუსტი იყო, ამიტომ მიიჩნევდნენ, რომ სამხრეთ ოსეთის მიმართულებით ჩატარებულ ღონისძიებებში არ ჩაერეოდა. ხშირად კეთდებოდა რევანშისტული განცხადებები, რომელიც სპობდა ნდობის მოპოვებისა და აღდგენის პროცესს. ამის პარალელურად რუსეთის მხრიდანაც კეთდებოდა განცხადებები იმის შესახებ, რომ თითქოს მათ სამხრეთ ოსეთი სულაც არ აინტერესებდათ, ამ დროს ფარულად აქეზებდნენ ოს სეპარატისტებს და პროვოკაციებს აწყობდნენ ჩვენს საზღვრებთან. ისტორიკოსმა დეტალურად აღწერა ყველა ის ფაქტი, რომლითაც სააკაშვილი ეცადა რუსეთთან დიპლომატიური, მოლაპარაკებების გზით მშვიდობის მიღწევას, მაგრამ მით უმეტეს ბოლო დღეებში მედვედევ-პუტინის ხელისუფლება ამაზე არ წამოვიდა.

**„სააკაშვილმა ფართომასშტაბიანი ომის ნებართვა გასცა, თუმცა, კარგად იცოდა, რომ ეს წაგებული ბრძოლა იყო,** — ამბობს უჩა ბლუაშვილი, **— მართალია, ფართომასშტაბიანი შეტევა დაიწყო საქართველომ, მაგრამ მხოლოდ ოსი სეპარატისტების წინააღმდეგ, საკუთარ ტერიტორიაზე. ის ხომ კრასნოდარში არ შეჭრილა?! ომი დაიწყო რუსეთმა, რომელიც შემოიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე. 7 აგვისტოს დღის 3 საათისთვის აგრესორი ჩვენს ტერიტორიაზე იმყოფებოდა. ეს იყო სააკაშვილის იძულებითი ნაბიჯი, მაგრამ ომის აცილება, ბუნებრივია შეიძლებოდა... ეროვნული მთავრობიდან დაწყებული, ჩვენი ხელისუფალნი უნდა მორიდებოდნენ რუსეთთან კონფრონტაციას. ამის მიუხედავად, ომი იყო რუსეთის გეოპოლიტიკური მისწრაფება და საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში პიროვნებები დაბრკოლება არ ყოფილან. კონფლიქტი საფუძველშივე გადაუჭრელია. რუსეთის ქმედებებზე თანამეგობრობის პასუხს აკლდა სიმძაფრე, რამაც უკრაინის მოვლენები გამოიწვია“.**

ისტორიკოსებმა მიმოიხილეს უკრაინაში განვითარებული მოვლენები, აგვისტოს ომის შედეგები, კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა ეთნოგრაფიის ჭრილში, სამხედრო-სტრატეგიული და ტაქტიკური საკითხები და სხვა... ამ თემათა შორის საყურადღებოა ისტორიკოს **დაზმირ ჯოჯუას** მოსაზრებები კრიზისულ დიპლომატიასთან დაკავშირებით. მან გაიხსენა სააკაშვილის გეგმა, რომელიც 2008 წელს მედვედევს გაუგზავნა განსახილველად. ამ სქემის მიხედვით, აფხაზეთი, ფაქტობრივად, ორად უნდა გაყოფილიყო, რაც ძალიან საშიში თამაში იყო. სააკაშვილი მაქსიმალურ დათმობაზე იყო წამსვლელი, ოღონდ ომი არ დაწყებულიყო, მაგრამ კრემლმა ამაზე უარი განაცხადა. მოლაპარაკების ყველა საერთაშორისო მისია უშედეგოდ დასრულდა. არ იმუშავა არც ამერიკელი და არც ევროპელი დიპლომატების მიერ შემოთავაზებულმა და შემუშავებულმა გეგმებმა... კრიზისული დიპლომატია ჩავრდა!

**რა იქნება მომავალში, ამაზე პასუხის გაცემა მეცნიერებს უჭირთ. კოსოვოს აღიარებამ ზურგი გაუმაგრა რუსეთს, თუმცა, ეს ის სახელმწიფოა, რომელიც არად დაგიდევთ ისტორიულ გაკვეთილებს. დღესდღეობით ის „ახალი რეალობის“ გამოისობით საერთაშორისო სტანდარტებს არღვევს! მაგრამ ამის სულაც არ „რცხვენია“...**

**თეა მოსია**

გამოიცა

## „შრომები“ — IX

**გამოიცა სსიპ დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის „შრომები“ IX (თბილისი, 2014, 469 გვ., გამომცემლობა „არტლაინსი“).**

„შრომებში“ გამოქვეყნებულია მუზეუმის ყოფილი დირექტორისა და მისი მთავარი კონსულტანტის, ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის, საქართველოს ებრაელთა კვლევის ცენტრის (ისრაელი) ხელმძღვანელის, პროფესორ **შალვა წიწუაშვილის** მონოგრაფია — **„ქართველ ებრაელთა ეროვნული აზროვნების ისტორიიდან (1915-1926 წ.წ.)“.**

ნაშრომი წარმოადგენს ქართველ ებრაელთა ეროვნული აზროვნების შესწავლის პირველ ცდას. მასში ნაჩვენებია ებრაული ინტელიგენციის ერთი ნაწილის მცდელობა ქართველ ებრაელთა კულტურისა და განათლების დონის ამაღლებისთვის და ქართველ ებრაელთა შორის არსებული წინააღმდეგობრივი პროცესები. ნაშრომი გამიზნულია ფართო მკითხველისთვის.




**სარედაქციო კოლეგია:** დ. ბააზოვი, გ. ბენ-ორენი, ზ. დავარაშვილი, ი. დავიდი, ზ. კიკნაძე, ე. მამისთვალიშვილი, თ. მამისთვალოვი-კეზერაშვილი, გ. მირცხულავა, მ. ღამბაშიძე (რედაქტორი), შ. წიწუაშვილი, ნ. ჯანაშვილი.

**გამოცემის ორგანიზატორები არიან** საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;

სსიპდავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი;

ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაცია;

ასირიოლოგთა, ბიბლეისტთა და კავკასიოლოგთა საზოგადოება;

საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესი (ისრაელი);

საქართველოს ებრაელთა კვლევის ცენტრი (ისრაელი).

დედამიწის ზურგზე



**„წლის ცენტრალური მოვლენა“ მოხდა: რუსეთის ფედერაციის, ყაზახეთისა და ბელარუსის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ევრაზიის ეკონომიკური კავშირის შესახებ**

დოკუმენტი ორი ნაწილისგან შედგება. პირველში გადმოცემულია ევრაზიული ინტეგრაციის მიზნები და ამოცანები და ჩამოყალიბებულია ევრაზიის ეკონომიკური საბჭოს სტატუსი, როგორც სრულფორმატიანი საერთაშორისო ორგანიზაცია. მეორე ნაწილი ფუნქციურია, იგი აწარმოებს ეკონომიკური ურთიერთმოქმედებების მექანიზმების რეგლამენტაციას, აგრეთვე აფიქსირებს კონკრეტულ ვალდებულებებს ინტეგრაციის დარგობრივი მიმართულებით.

* * *

**კოლომოისკი დნეპროპეტროვსკელ ჩინოვნიკებს პეკინში აგზავნის — ნახონ, თუ როგორ სჯიან სიკვდილით კორუფციონერებს**



ოლიგარქმა, ვინც დნეპროპეტროვსკში შექმნა საკუთარი არმია, რომელიც თითქოსდა ცეცხლს უხსნის „სასწრაფო დახმარების“ მანქანებს და სიკვდილით სჯის უკრაინელ ჯარისკაცებს, ვის მიმართაც წაყენებულია ბრალდება ოლეგ ცარევზე „ნადირობაში“ მონაწილეობასა და ოდესის პროფკავშირების სახლში ხოცვა-ჟლეტვის ორგანიზაციასთან დაკავშირებით, გადაწყვიტა გამოიყენონ კორუფციასთან ბრძოლის აზიური გამოცდილება და წარჩინებულ ჩინოვნიკებს ჩინეთში აგზავნის.

* * *

**ნიგერიაში გაათავისუფლეს სკოლის კიდევ ოთხი მოსწავლე გოგონა, რომლებიც „ბოკო ჰარამის“ ისლამისტებმა ჩაიგდეს ხელში**

ზოგი მონაცემებით, სკოლის მოსწავლეებმა შეძლეს გაქცევა, სხვა მონაცემებით კი — ბოევიკებმა თავად გაუშვეს ისინი მას შემდეგ, რაც გოგონები ავად გახდნენ. ამრიგად, დღეისთვის გათავისუფლებულია სულ 57 სკოლის მოსწავლე გოგონა, 219 ძველებურად მძევლებად იმყოფებიან.

* * *

**ობამა მოუწოდებს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის გარდაქმნისა და სამხედრო ფათერაკებზე უარის თქმისკენ**

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ საპროგრამო სიტყვაში, რომლითაც მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულებს ვესტ-პოინტში, გადმოსცა სამხედრო პოლიტიკის თავისი ხედვა და ქვეყნის როლი მსოფლიო არენაზე, განაცხადა, რომ ამერიკამ თავი უნდა აარიდოს სამხედრო ჩარევებს უცხოეთში. ობამამ განაცხადა, რომ მთავარი საფრთხე ქვეყნისთვის როგორც შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, ტერორიზმია.



ლეგიონერი

# მარკოიშვილის „გალათასარაის“ ფინალს ერთი მოგება აშორებს



**მანუჩარ მარკოიშვილის „გალათასარაიმ“ თურქეთის ჩემპიონატის ნახევარფინალში რეგულარული სეზონის გამარჯვებულ „ბანვითთან“ წინ გასვლა მოახერხა. სტამბოლელებმა შინაურ კედლებში მეტოქეს 76:71 სძლიეს და სერიაში 2:1 დაწინაურდნენ.**

ქართველი მცველი, ტრადიციულად, „გალას“ სასტარტო ხუთეულში იყო და 24 წუთში 11 ქულა და 1 მოხსნა მიითვალა. მანუჩარმა 4-დან 2 ორქულიანი, 4-დან 2 სამქულიანი და 1 საჯარიმო ჩააგდო და 2 პერსონალური ფოლი მიიღო.

სტამბოლელთაგან ყველაზე შედეგიანები კარლოს აროიო (19) და ზორან ერცეგი (14) იყვნენ, ერსინ დალიმ კი 8 ქულას 15 მოხსნა წაამატა. ისიც ვთქვათ, რომ სტამბოლელები ბოლო მეოთხედის წინ 5 ქულით აგებდნენ, თუმცა, უკანასკნელი ათწუთეული დამაჯერებლად ჩაატარეს — 29:19.

„გალათასარაი“ მომდევნო მატჩს ისევ შინ დღეს ჩაატარებს და გამარჯვების შემთხვევაში ფინალის საგზურს მოიპოვებს, სადაც უკვე ელის სტამბოლისვე „ფენერბაჰჩე“. ჟელკო ობრადოვიჩის გუნდმა „ქარშიაქა“ 3:0 დაამარცხა.

**მანუჩარ გიორგაძე**

უკვდავება

# არჩილ ჩოხელის ვარსკვლავი მცხეთაში და მემორიალური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში

**სამბოში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის, ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს ტრაგიკულად დაღუპული არჩილ ჩოხელის მემორიალს ქართულ ჭიდაობაში მისმა მშობლიურმა სოფელმა გალავანმა უმასპინძლა.**

ქართული ჭიდაობის ფედერაციის ორგანიზებით, ადგილობრივი რეგიონული მთავრობისა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით გამართული ტურნირი სოფელ გალავანის ახლადაგებულ ქართული ჭიდაობის დარბაზში ჩატარდა.

ჩოხელის სახელობის ღია პირველობაში გამარჯვებულები და პრიზიორები 60, 70, 80, 90 და მძიმე წონით კატეგორიებში გამოვლინდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან.

არჩილ ჩოხელის სახელობის სპეციალური თასის მფლობელი 70 კგ. წონით კატეგორიაში თიანეთელი მიხეილ ჩოხელი გახდა, ყველაზე პრესტიჟულ მძიმე წონაში კი საჩხერელმა ონისე ბულაძემ გაიმარჯვა, რომელიც დაო დარბაზის წინ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოლიმპიური ჩემპიონის რომან რურუას გვერდიგვერდ არჩილ ჩოხელის ვარსკვლავი გაიხსნა.

**კვარცხლბეკი**

**60 კგ.**

1. ლაშა გიუნაშვილი (ქარელი),
2. გიორგი მესაბლიშვილი (ახმეტა),
3. იოსებ ცერცვაძე (ქარელი).

**70 კგ.**

1. მიხეილ ჩოხელი (თიანეთი) (არჩილ ჩოხელის თასის მფლობელი),
2. ალიკ ნანიევი (ლაგოდეხი),
3. გიგა ბერიაშვილი (კასპი).

**80 კგ.**

1. გიორგი პაპუნაშვილი (გორი),
2. ზვიად კაპანაძე (ქარელი),
3. ჯაბა ბიწაძე (ლაგოდეხი).

**90 კგ.**

1. პაატა ღვინიაშვილი (ქარელი),
2. გიორგი კობაიძე (მანგლისი),
3. გიორგი სეტიელი (გალავანი).



ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა გელა ბერუაშვილმა დააჯილდოვა.

აღსანიშნავია, რომ ქართული ჭიდაობის ტურნირის დაწყებამდე მცხეთაში მდებარე საჭი-

**მძიმე წონა**

1. ონისე ბულაძე (საჩხერე),
2. გიორგი ნოზაძე (ხაშური),
3. ბექა ბერძენიშვილი (ახალციხე).

**ბეჟან დოლიძე**

კონტრაქტი

# შენგელია „ლაბორალ კუჩაში“ ითამაშებს

**საქართველოს ეროვნული ნაკრების ფორვარდმა თორნიკე შენგელიამ ესპანურ „ლაბორალ კუჩასთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ჯერჯერობით აღნიშნული საკუთარ საიტზე არ დაუდასტურებია ბასკურ კლუბს, თუმცა, ინფორმაციას ისეთი ცნობილი ვებ-გვერდები ავრცელებენ, როგორებიც Eurohoops.net და Sportando.com არიან.**



შეგახსენებთ, რომ ესპანური კლუბი შენგელიათი დაინტერესებას მას შემდეგ გამოთქვამდა, რაც ეს უკანასკნელი ნბა-დან დაითხოვეს და თავისუფალი აგენტი გახდა. „ლაბორალ კუჩამ“ „თოკოს“ კონტრაქტი ოფიციალურად შესთავაზა და როგორც სჩანს, საბოლოოდ, დადებითი პასუხიც მიიღო.

როგორც ირკვევა, მომავალი 3 წლის განმავლობაში შენგელია 2,1 მილიონ ევროს მიიღებს, რითაც იგი ბასკური კლუბის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი კალათბურთელი გახდება.

დავძენთ, რომ „ლაბორალ კუჩა“ ესპანეთის ჩემპიონატის მეოთხედფინალში გახლავთ გასული და კატალონიურ „ბარსელონასთან“ დაპირისპირება ელის.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ინტერნეტიდან

# ჟიზელ ბიუნდჰენი — ჩოგანზე შეყვარებული მოდელი

**ბრაზილიელი მოდელი ჟიზელ ბიუნდჰენი ცნობილ ტოპ-მოდელთა შორის ერთ-ერთი უმდიდრესია და როგორც ბულვარული მედიის წარმომადგენლები წერენ, მისი ქონება დაახლოებით 120 მილიონ დოლარს შეადგენს, რაც ჟიზელს სრულ ცხოვრებისეულ თავისუფლებას ანიჭებს.**

ჟიზელს თურმე ჩოგბურთი ყვარებია ნამეტნავად და მისი ოცნებაა, რომ ცნობილ ჩოგბურთელებს დაუახლოვდეს და სპორტის ამ სახეობაში მოღვაწეთა შორის გაერიოს. ჟიზელ ბიუნდჰენს მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქის საჩოგბურთო კორტებზეც ხედავენ ხოლმე, თუმცა ის კი ვერ დაადგინეს, რომელი ჩოგბურთელი მოსწონს განსაკუთრებულად.



ცნობილ მოდელებს „ყვითელი“ ჟურნალისტები გამუდმებით იმას უკიჟინებენ, რომ მდიდარ სპორტსმენებს ფულის გამო უკოტრიალდებით სარეცელშიო, ჟიზელის შემთხვევაში კი ეს ბრალდება, რბილად რომ ვთქვათ, უადგილო იქნება, რადგან ამ ქალბატონს არც ფული აკლია და არც პოპულარობა.

**როსტომ რაჭველიშვილი**

მუნდიალის წინ

# ვალენსია ფორუმს გამოაკლდა

**კოლუმბიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ნახევარმცველ ედვინ ვალენსიას გარეშე ითამაშებს. ინფორმაცია ფიფას ოფიციალურმა ვებგვერდმა გაავრცელა.** „ფლუმინენსეს“ ფეხბურთელს ჯანმრთელობის პრობლემა მთელი გასული სეზონის განმავლობაში აწუხებდა, ახლა კი საბოლოოდ გაირკვა, რომ მუნდიალამდე სათამაშო ფორმის აღდგენას ვერ მოასწრებს.

კოლუმბიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთ ჯგუფში მოხვდა საბერძნეთთან, კოტდივუართან და იაპონიასთან ერთად.

**გიორგი შოთაძე**



რაც დათესეს...

# სიმეონესა და ჩაბი ალონსოს დისკვალიფიკაცია ემუქრებათ

**მადრიდის „ატლეტიკოს“ მთავარმა მწვრთნელმა დიეგო სიმეონემ და „რეალის“ ნახევარმცველმა ჩაბი ალონსომ, შესაძლოა, ჩემპიონთა ლიგის მომდევნო გათამაშების პირველი ტური გამოტოვონ. ამის მიზეზი ისაა, რომ UEFA ჩემპიონთა ლიგის ფინალში მომხდარ შემთხვევებს იძიებს.**



„რეალთან“ გამართული ფინალის დროს დიეგო სიმეონე მოედანზე 2-ჯერ შევიდა, ხოლო თამაშის მიწურულს მას რაფაელ ვარანთან კონფლიქტი მოუვიდა.

ჩაბი ალონსო შეხვედრას დისკვალიფიკაციის გამო ტოვებდა. მას მოედანზე ყოფნის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ ესპანელი ნახევარმცველი ტრიბუნებიდან მინდორზე საფინალო სასტვენისთანავე აღმოჩნდა.

Sky Sports-ის ცნობით, UEFA სიმეონესა და ალონსოს საქმეს იძიებს და არაა გამორიცხული, ორივე მათგანი ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯოს.

**კობა კობახიძე**

## ◉ ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი...

**ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ახლოვდება დაუმთავრებელი გამოუძიებელი საქმეებით, მინისტრების გაზრდილი პრემიებით თუ ხელფასებით და პრემიერ-მინისტრის დაპირებით, რომ ნაცმოძრაობასთან სამარცხვინო კოჰაბიტაცია უნდა დასრულდეს.**

**„ვინ გიშლით, ბატონებო, ხელს, რომ კოჰაბიტაცია დაასრულოთ?!“ — ეს შეკითხვა არა მხოლოდ „ქართული ოცნებისა“ და ნაცმოძრაობის პოლიტიკური ოპონენტის ნინო ბურჯანაძისთვისაა აქტუალური, საზოგადოების ნაწილიც ეჭვის თვალით შეჰყურებს მომავალს და აინტერესებს, თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ რეალურად დასრულდება კი უკვდავი კოჰაბიტაცია, რომელიც ჯერ კიდევ 27 ოქტომბრის შემდეგ უნდა ჩაბარებოდა პოლიტიკურ სანაგვეს?**

**იმის მიუხედავად, რომ კოჰაბიტაციამ თავისი თავი უკვე ამოწურა, ინერციით ხომ არ გაგრძელდება კოაბიტირება ყოფილ ხელისუფლებასთან და ისევ ხომ არ მოვისმენთ შეჩვეულ ფრაზებს — დასავლეთი ნაცმოძრაობის წევრთა გასამართლებას რადიკალურად ეწინააღმდეგება?! ეს მაშინ, როცა დასავლეთში სწორედ საკუთრების დაცვაა დემოკრატიის ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობა, რისი უფლებაც ნაციონალებმა საკუთარ ხალხს შეულახეს.**

**ნებისმიერ ხელისუფლებას შემაკავებელი ფაქტორი სჭირდება. ამდენად, რა უნდა იქცეს ასეთ ფაქტორად „ქართული ოცნებისთვის“, რათა გამარჯვებებით თავბრუდახვეულებმა ნაციონალების შეცდომა არ გაიმეორონ, რომელიც სულ რაღაც რამდენიმე წელიწადში მონსტრად ჩამოყალიბდა?!**

**ფაქტია, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში არ ჩანს და ის ვერ გახდება „ქართული ოცნების“ შემაკავებელი ფაქტორი. ასე მოხდა სულ ახლახან, როცა მინისტრების პრემიებმა ამ ღატაკ ქვეყანაში პიკს მიაღწია და ისეთი ავტორიტეტული პირი არავინ აღმოჩნდა, ვინც მათ ამის გამო მორალურ ვალდებულებებს მაინც შეახსენებდა.**

**რაც შეეხება მესამე ძალას, ის იმდენად ძლიერი არ არის, რომ მისი ფაქტორი შემაკავებელი აღმოჩნდეს „ქართული ოცნებისთვის“, ნაციონალების კრიტიკა კი ისევ ნაციონალებისთვისაა საზიანო, რადგან მათ ხალხში დასაყრდენი არ ჰყავთ.**

# მილიარდერი ავირჩიეთ და ღარიბაშვილი შეგვრჩა ხელში!

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ „ქართული ოცნება“ ერთპარტიულ მონსტრად იმაზე სწრაფად ყალიბდება, ვიდრე თავის დროზე — ნაცმოძრაობა. ჩვენს საზოგადოებას კი ამ ერთპარტიულ ხელისუფლებასთან დაკავშირებით მწარე გამოცდილება აქვს. ერთპარტიული იყო კომუნისტური რეჟიმი, გამსახურდიას არშემდგარი ხელისუფლება, შევარდნაძის, სააკაშვილის მმართველობები, დღეს კი ასეთი პირველი ნაბიჯი პრეზიდენტის არჩევნების დროს გადაიდგა, როცა ბიძინა ივანიშვილმა, როგორც ილუზიონისტმა, შლაპიდან უცებ ბაჭიას მსგავსად გამოიყვანა მარგველაშვილი. პირადად „ოცნებისა“ და ივანიშვილ-ღარიბაშვილისთვის ეს არცთუ წარმატებული ნაბიჯი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ივანიშვილს ასეთი ბევრი შლაპები აქვს. მეორე შლაპიდან მან უცბად გამოიყვანა



დავით ნარმანია, რაც ერთხელისუფლებიანობისკენ გადადგმული მორიგი ნაბიჯია!

პოლიტოლოგის აზრით, მარგველაშვილი ლირიული გადახვევაა ივანიშვილისთვის, მას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ელემენტარულად, არანაირი ძალა არ გააჩნია, მაგრამ სულ სხვაა დედაქალაქის მერის ძალა. მით უმეტეს, დედაქალაქის მერი არცთუ დამსახურებულად იქნება აღზევებული. „სააკაშვილმა ხელისუფლებაში მოსვლისთვის იბრძოლა, ათასი ბარიერი გადალახა, ნარმანიას კი რა ბრძოლა გადაუტანია?!“, — აინტერესებს პოლიტოლოგს, რომლის თქმითაც, ნარმანიას სამი წლის წინ კაციშვილი არ იცნობდა.

„ახალი ხელისუფლების აღზევებას შეაკავებს ჩვენი საზოგადოება, თუკი ჩვენს საზოგადოებას ეყოფა პოლიტიკური განათლება, რომ აღვირი ამოსდოს ერთპარტიულ მმართველობას. მაგრამ ეს უკვე ილუზიებია, რადგან საიდან მოვლენ მაღალი პოლიტიკური კულტურის ადამიანები? ჩვენი უნივერსიტეტები იძლევიან ამდენ განათლებას?! ის დრო, რაც სააკაშვილს დასჭირდა, რომ მისი პარტია მონსტრად ქცეულიყო, ახლა ძალიან შეიზღუდა. მახსოვს, 2004 წელს ვიყავი სააკაშვილის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე, მას ყოველდღიურად ვხედავდი, ხან თვითონ მეძებდა, თუმცა, 2005 წლის შემდეგ სააკაშვილმა ჩამოაყალიბა ვერტიკალი. 2008 წლის ომამდე, რასაკვირველია, ოპოზიციაც იყო, მოსმენებიც იყო, მაგრამ ასეთი უკმაყოფილება, როგორც დღეს არის, არ ყოფილა. უკმაყოფილება აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდს მოჰყვა, როდესაც წითელ ხაზს გადააბიჯა „ნაციონალურმა მოძრაობამ“. დღეს ეს ძალიან მალე მოხდა. ამის მიზეზი ისაა, რომ ნაციონალების მოსვლისას ასეთი მოლოდინი არ იყო. ახლა კი, როდესაც ამოდენა დაპირებები გასცა „ქართულმა ოცნებამ“, ის თავიდანვე რეიტინგის დაცემისკენ იყო განწირული. გრაფი მონტე-კრისტოს ხელგაშლილობით რას აღარ გვპირდებოდნენ. ჟირინოვსკის არ იყოს, არჩევნებში თავის ხალხს ჰპირდებოდა — „კაჟდოი ბაბე პა მუჟიკუ, კაჟდომუ მუჟიკუ პა ბუტილკე ვოდკი“. ვიცოდი, რომ „ოცნებას“ არ შეეძლო დაპირებული ტარიფების შემცირება, მაგრამ ასეთ ნეპოტიზმს არ მოველოდი“, — აღნიშნა სოსო ცინცაძემ.

მისივე თქმით, ჩვენ ავურიეთ ერთმანეთში მართლმსაჯულების აღსრულება და სამართლიანობის აღდგენა. პირველი მათგანი პროკურატურის, სასამართლოს პრეროგატივაა და არა — ხელისუფლების. ხოლო მეორე — სამართლიანობის აღდგენა, თანასწორობა კანონის წინაშე. ამ დროს კი, რომელ თანასწორობაზეა საუბარი, როცა მინისტრი, რომელსაც ჯერჯერობით არაფერი გაუკეთებია ქვეყნისთვის, პენსიონერის 20 წლის პენსიის ტოლა პრემიას იღებს ერთ თვეში?! ამის შემდეგ ზოგიერთ მინისტრს ყოფნის ცინიზმი და თავხედობა, რომ ეს გაამართლოს, თუ არ მივეცით ამოდენა ფული, წავა კერძო სექტორშიო.

„ერთი ამიხსენით, ჩვენ ამერიკაში ვცხოვრობთ თუ საქართველოში? ეს ხალხი ვის რა ჭირად უნდა კერძო სექტორში? ეს ამერიკაში ხდება, მინისტრი გადადგება და მისი ადგილი უკვე არის „ჯენერალ ელექტრიკის“ პრეზიდენტად და სხვაგან, მაგრამ ჩვენთან ტოტალური უმუშევრობაა. ესენი უკვე მონსტრად გადაიქცნენ. აქ ნეპოტიზმი მძლავრობს, რაც სააკაშვილის პირველ პერიოდში არ ყოფილა. ეს დალოცვილი ივანიშვილი, თუ წავიდა პრემიერ-მინისტრობიდან, სულ წავიდეს, თუ არადა, სანახევროდ წასვლა არ გამიგია, ყოფილიყო პრემიერად. კახეთში ხუმრობენ, ასე გამოვიდა, მილიარდერი ავირჩიეთ და ღარიბაშვილი შეგვრჩა ხელშიო. არ არის ცუდი ბიჭი ღარიბაშვილი, ცდილობს, მაგრამ ძალიან ახალგაზრდა, გამოუცდელია... ეს ყველაფერი დროს, ასაკს და გამოცდილებას მოაქვს. ჩვენ ცაიტნოტში ვართ, არ გვაქვს დრო, რომ მინისტრმა გამინისტრების შემდეგ ისწავლოს საქმე. შევარდნაძე ამბობდა ერთ მინისტრზე, როგორც იქნა ისწავლა მუშაობა და ახლა მოვხსნაო?! ამიტომ ჩვენ მივდივართ ერთპარტიული მმართველობისკენ. არც ერთ პარლამენტს საქართველოში არ ჰქონია ავტორიტეტი, მაგრამ ამან ყველას გადაუჯოკრა“, — აღნიშნა სოსო ცინცაძემ.

ექსპერტი **სოსო ცისკარიშვილი** For.ge-სთან საუბარში განმარტავს: იმისთვის, რომ ახალი ხელისუფლება ნაციონალების მსგავსად, მონსტრად არ იქცეს, ფორმულა მარტივია — თვითმმართველ ქალაქებში ამომრჩეველს სამი არჩევანი აქვს გასაკეთებელი და, თუ ის ყველა კვერცხს ერთ ბუდეში არ ჩადებს, მაშინ განსხვავებული აზრი იარსებებს ქვეყანაში.

„არა მგონია, წელს ასე უპირობოდ რომელიმე ერთმა პოლიტიკურმა ძალამ მოახერხოს სავარძლების სრული მონოპოლიზაცია. ცხადია, იქნება განსხვავებული აზრი არჩევნების დროსაც. რასაკვირველია, გარკვე-



ული უპირატესობა გააჩნია ჩვენს ხელისუფლებას და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ტრადიციული ჩვენი გამოცდილება ამას გვკარნახობს, არამედ იმიტომაც, რომ ჯერჯერობით ორგანიზებულ და მყარ გუნდს წარმოადგენს და არ ეწევა საკუთარი გუნდის წევრების ექსპორტს რომელიმე ქვეყანაში მრჩევლების სახით. ამიტომ, ამ შემთხვევაში გადამწყვეტია თითოეული ჩვენი მოქალაქის ხმა, უნდა მივცეთ ხმა, ვინც მიგვაჩნია უკეთესად და მერე მასთან ერთად ვაგოთ პასუხი მისსავე მოქმედებაზე“, — გვითხრა სოსო ცისკარიშვილმა.

მისივე თქმით, სამწუხაროა, რომ მესამე ძალა წარმოდგენილია ათამდე სუბიექტით, რამდენიმე კოალიციის სახით და მათი შეუთანხმებლობა წყალს ასხამს მხოლოდ დღევანდელი და ყოფილი ხელისუფლებების წისქვილზე. ექსპერტის აზრით, ვერავის ვერ დავაბრალებთ ასეთ რეალობას, საკუთარი თავის გარდა. სწორედ ასეთი მაჩვენებელი ახასიათებს ჩვენს პოლიტიკურ კულტურას. ამდენად, სოსო ცისკარიშვილი არ გამორიცხავს, კიდევ რამდენიმე არჩევნები დაგვჭირდეს, რომ სირცხვილად ვაღიაროთ ჩვენისთანა პატარა ქვეყანაში 230-მდე რეგისტრირებული პოლიტიკური პარტია. იგი მიიჩნევს, რომ აუცილებელია არჩევნებში მონაწილე ჩვენმა სუბიექტებმა წარადგინონ კვალიფიცირებული დასკვნა კანდიდატების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

„მერწმუნეთ, ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტის თანამდებობაზე მოხვედრის 50-ზე მეტი მსურველი აღარ იქნება და სერიოზულად შემცირდება კანდიდატების რაოდენობა“.

**მანანა ნოზაძე**

## ◉ რეპლიკა

# ყველაფერს აქვს ზღვარი!

**ეგრეთწოდებული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქართული ენის „გადარჩენისთვის“ მარათონში, ახალმა ხელისუფლებამ, ყველა მისი წინამორბედი მთავრობა დამაჯერებლად ჩამოიტოვა უკან და დიდი უპირატესობით უახლოვდება გამარჯვების მომასწავებელ ფინიშს.** ქვეყანას კი რას მოუტანს ეს „გამარჯვება“, ამაზე დედაქალაქის ხელმძღვანელობა, ეტყობა, არც ფიქრობს. კაცს ეგონება, რომ ეს ყოველივე შეგნებულად და მიზანმიმართულად კეთდება. მეტი რა ვიფიქროთ, როცა უკვე მერამდენედ, თბილისის ცენტრალურ ქუჩებში, ყველაზე გამორჩეულ ადგილებში გადაჭიმულ სარეკლამო პლაკატებზე წარწერებს, ორივე მხრიდან მხოლოდ და მხოლოდ უცხო ენაზე ვხედავთ.

ეს უკვე მეტისმეტია, რეკლამის შესახებ საქართველოს კანონის უხეში დარღვევაა. ვისაც ეს ეხება, იქნებ საზოგადოებას აცნობოს ამ კანონის დამრღვევ-შემკვეთთა და აღმსრულებლების ვინაობა, რათა საზოგადოებამ თავად გამოუტანოს განაჩენი დედაენის მტრებს.

**ანზორ ბაბუხადია,**
**იაკობ გოგებაშვილის მედალოსანი,**
**„დედა ენის საზოგადოების“ თანადამფუძნებელი**

## ◉ ინფორმაცია




### საყდრისში სამუშაოები შეჩერებულია

**კომპანია RMG Gold-მა, საერთაშორისო ექსპერტების საბოლოო დასკვნამდე, საყდრისში სამუშაოები შეაჩერა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ კომპანიის კომერციულმა დირექტორმა სოსო ცაბაძემ განუცხადა, სამუშაოების შეჩერების გადაწყვეტილება საზოგადოებაში კვლავ არსებული კითხვების გამო მიიღეს.**

**— კომპანიას ამ ექსპერტების ჩამოსვლამდეც შეეძლო მუშაობა, მაგრამ მივდივართ მაინც დათმობებზე, რომელიც ჩვენთვის საკმაოდ მძიმეა. ჩვენი მხრიდან ეს ნაბიჯი გამომდინარეობს იქიდან, რომ საზოგადოებაში კიდევ არსებობს კითხვები. ჩვენ გვინდა, რომ არ არსებობდეს მიზეზი იმის, რომ ვინმემ ბრალი დაგვდოს უკანონო ქმედებაში. დღემდე არ გავცილებულვართ არც კანონმდებლობას და არც სამართლებრივ აქტებს, — აღნიშნა ცაბაძემ.**

**ამასთან, კომპანია იმედოვნებს, რომ დასკვნა უახლოეს დღეებში მზად იქნება. ცაბაძის თქმით, კომპანია ამ დასკვნისგან დადებით შედეგს ელოდება.**

### ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-დან აცნობეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად ქრთამის აღების ფაქტზე ამხილეს და დააკავეს ასპინძის რაიონის ტოლოშის თემის და სოფელ აწყვიტას ტერიტორიული ორგანოს მთავარი სპეციალისტი ვალიკო ივანიძე.**

**სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ვალიკო ივანიძემ თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას მოქალაქეებს დაუმზადა და გადასცა ყალბი ცნობა, რომელშიც მითითებული იყო არარეალური მონაცემები ხე-ტყის მასალის მოპოვებასთან დაკავშირებით, რის სანაცვლოდაც ქრთამის სახით მოითხოვა და აიღო 600 ლარი.**

**სამართალდამცველებმა თანხა ნივთმტკიცებად ამოიღეს.**

**გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს რაც 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

### თავდასხმა ვაკეში

**ვაკეში, ყიფშიძის ქუჩაზე, 40 წლამდე მამაკაცს რამდენიმე პირი თავს დაესხა და ფიზიკურად გაუსწორდა.**

**თვითმხილველების ინფორმაციით, მანქანა გაჩერდა, საიდანაც რამდენიმე პირი გადმოვიდა და 40 წლამდე მამაკაცს ფიზიკურად გაუსწორდა. მათივე ინფორმაციით, თავდამსხმელები შეიარაღებულები არ ყოფილან. თვითმხილველების თქმით, თავდამსხმელებს ცეცხლსასროლი იარაღი არ ჰქონიათ და არც გასროლის ხმა გაუგიათ, ფიზიკური ანგარიშსწორება რკინის ნაჭრით მოხდა.**

**ინტერპრესი**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## მცირე ენციკლოპედია

### პოლონეთის საჰარა



**მსოფლიოში არაერთი უდაბნო ადგილია, ზოგან ქვიანი, ზოგან ქვიშიანი, მათი სახელები ყველამ კარგად ვიცით — საჰარა, კალაჰარი, გობი. პატარ-პატარა უდაბნოები ბევრ ქვეყანაშია, მაგრამ შუაგულ ევროპაში, პოლონეთში, უდაბნო თუ არსებობდა, ამის თაობაზე ბევრმა შესაძლოა დღემდე არ იცოდა.**

იმ ადგილს „პოლონეთის პატარა საჰარას" უწოდებენ, იგი ქალაქ კრაკოვის მახლობლად მდებარეობს: 32 კვადრატული კილომეტრის ფართი უკავია და ქვიშიან დაბლობს წარმოადგენს. ამ ადგილას ქვიშის ფენა 70 მეტრია, წყალი კი მისი ძირიდან კიდევ 10 მეტრით ქვევითაა. სწორედ ამის გამოა, რომ „პოლონურ პატარა საჰარაში", ცენტრალური ევროპის გეოლოგიურად ამ უნიკალურ ადგილში, არანაირი მცენარე არ იზრდება.

### თუ თავი აგტკივდათ...

**ლონდონში თავის ტკივილის სამკურნალო ხელსაწყოს პრეზენტაცია გაიმართა.**

ხელსაწყომ კლინიკური გამოცდები წარმატებით გაიარა, ხოლო მისმა გამოყენებამ პაციენტთა 73 პროცენტს შვება მოუტანა. როგორც კი კაცს თავის ტკივილი ეწყება, პაციენტმა მოწყობილობა კეფაზე უნდა მიიდოს: ხანმოკლე მაგნიტური იმპულსი სპობს თავისებურ „მოკლე ჩართვას", რომელიც თავის ტვინში შაკიკის დაწყებისას გროვდება.

### ცხოველთა სამყაროს მოზაიკა

**ბუნების საოცრებათა, ფაუნის წარმომადგენელთა გამორჩეული და ხშირად სრულიად უნიკალური თვისებების გაცნობა, ვფიქრობთ, ყველა ასაკის მკითხველისთვის საინტერესო იქნება.**

- ნიანგს ენის გამოყოფა არ შეუძლია, რადგან სასაზე აქვს მიკრული;
- დედამიწაზე ყველაზე დიდ ფრინველს სირაქლემას ფეხებზე მხოლოდ ორ-ორი თითი აქვს. მას მიბაძვის გასაოცარი უნარი აქვს — შეუძლია ლომივით ბრდღვინვა, გველივით სისინი და ცხენივით ტლინკების აყრა;
- ყარყატს ხმა საერთოდ არ აქვს;



- ყველაზე სწრაფი ფრინველია ევროპული ნამგალა, რომელიც ზოგჯერ საათში 250-ზე მეტი კილომეტრის სიჩქარით დაფრინავს;
- ყველაზე პატარა ფრინველს — კოლიბრის სიარულის უნარი არა აქვს;
- მეჟოლია მხოლოდ დღის შუქზე მოფრინავს და მუდამ ადამიანის საცხოვრისის მახლობლად ბუდობს;
- დედამიწაზე დღესდღეობით 600 მილიონი შინაური კატა ცხოვრობს, უპატრონო და ველურ ცხოველთა რიცხვი კი დანამდვილებით უცნობია;
- პინგვინებს გასაოცარი საქორწინო რიტუალი აქვთ: მამრი ნისკარტით მრგვალ კენჭს იღებს და სათითაოდ ყველას სთავაზობს. თუ შემთხვევით თავისნაირ მამრს გადაეყრება, ის უმალ გააგდებს, საჩუქარს კი მხოლოდ თავისუფალი მდედრი თუ მიიღებს, რაც „ცოლობაზე" თანხმობას ნიშნავს. ბუდისთვის საჭირო კენჭებს კი მამრი ზოგჯერ უყურადღებო მეზობლებს ჰპარავს;
- ძაღლმა კბილის პასტა რომ ალოკოს, ჰალუცინაციები დაეწყება;
- ძილის დროს დელფინი მხოლოდ ცალ თვალს ხუჭავს;
- მკვლელი ფუტკრები მხოლოდ შავ, ან, ზოგადად, მუქ ტანსაცმელში ჩაცმულ ადამიანებს ესხმიან თავს;



- ენოტი ერთადერთი ძუძუმწოვარა ცხოველია, რომელსაც სასქესო ორგანო ძვალი აქვს;
- ხვლიკებიდან ყველაზე გესლიანი შხამკბილაა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებისა და მექსიკის მშრალ ადგილებში ბინადრობს. იგი შინაურ ცხოველებზე და ადამიანებზეც კი ნადირობს!
- დედაფუტკარი 6 წელიწადს ცოცხლობს, დედაჭიანჭველა — 10 წელს, თევზები — ქარიყლაპია, კობრი და ორაგული — 100 წელს, ფრინველები — ბუ, ძერა, თუთიყუში, სვავი, ყორანი, გედი, არწივი და ზღვის იხვი — 100 წელს, შინაური ბატი — 80 წელს, ყარყატი — 70 წელს, მტრედი — 40-50 წელს, გუგული — 40 წელს, სპილო — 120-150 წელს, ვეფხვი და დათვი — 40-50 წელს , ცხენი — 30-40 წელს, მარტორქა და ბეჰემოტი — 40 წელს, ლომი — 20-25 წელს, პეპლების სიცოცხლის ხანგრძლივობა კი მხოლოდ ორი კვირაა.



### ჯერ ხელოვნური ტყავი, მერე ასეთივე ხორცი...

**რამდენიმე წელიწადში ლაბორატორიებში გაზრდილი... ტყავის ტანსაცმელი გაჩნდება.**

საამისოდ დონორი ცხოველისგან ნატურალური ტყავის მილიონობით უჯრედს აიღებენ, რის შემდეგ მათ ბიორეაქტორებში გაამრავლებენ. ლაბორატორიულ ტყავს გამოქნა არ დასჭირდება, ამიტომაც მეცნიერებს მისი პირდაპირ უბალნოდ შექმნა აქვთ ჩაფიქრებული, რაც მასალას ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო მომგებიანს გახდის.

მომავალში კი იდეის ავტორები გაყიდვაში არა მარტო ხელოვნურად გაზრდილი ტყავის, არამედ ხორცის გამოტანასაც გეგმავენ.

## ჩვენი კარაბადინი

### იმუნიტეტი ციფრებსა და ფაქტებში

**იმუნიტეტი — ესაა ორგანიზმის მიერ უცხო ნივთიერებების აღუქმელობის უნარი.**

ჩვენთვის უცხო მიკრობებისა და ბაქტერიებისგან დაცვის სისტემაში შედიან ძვლის ტვინი, ელენთა, ლიმფური კვანძები, კუჭ-ნაწლავის ლიმფოიდური ბალთები... ყველა მათგანი ერთმანეთთან არის დაკავშირებული სისხლისა და ლიმფური სისხლძარღვების ქსელით.

**იმუნიტეტის მდგომარეობა — ცვალებადი სიდიდეა. ერთსა და იმავე ადამიანს სხვადასხვა პერიოდში იმუნიტეტი შეიძლება ხან დაუქვეითდეს, ხან გაეზარდოს.**



განასხვავებენ აქტიურ და პასიურ იმუნიტეტს. აქტიური იმუნიტეტი ჩნდება გადატანილი ავადმყოფობის შემდეგ ან ვაქცინაციის შედეგად. პასიურ იმუნიტეტს უზრუნველყოფს მზა ანტისხეულები. მაგალითად, ის ჩნდება ბავშვის ორგანიზმში ანტისხეულის შეღწევის დროს დედის რძიდან.

5 წლის შემდეგ ბავშვები იწყებენ ვირუსებსა და ბაქტერიებზე ისეთივე რეაგირებას, როგორც მოზარდები.

**იმუნური სისტემის დამცველი უჯრედების 80 პროცენტი კუჭ-ნაწლავშია, სწორედ ამიტომ საჭმელს აქვს უნარი გააძლიეროს ან დათრგუნოს იმუნიტეტი.**

მზის სინათლე — იმუნიტეტის საუკეთესო მეგობარია.

ადამიანის იმუნური სისტემის მდგომარეობის 50 პროცენტზე მეტს მისი ცხოვრების წესი განსაზღვრავს.

**იმუნური სისტემის მუშაობაში შეფერხებებს აუტოიმუნური დაავადებების გაჩენასთან მივყავართ.**

ყველაზე გავრცელებული — ესაა ალერგია, როდესაც იმუნური სისტემა საკვები პროდუქტების ჩვეულებრივ ცილებს ან მცენარეთა მტვერს აღიქვამს, როგორც ორგანიზმისთვის მტრულ ანტიგენებს.

ადამიანთა მხოლოდ 10 პროცენტმა შეიძლება დაიტრაბახოს ძლიერი იმუნიტეტით, რომელიც იცავს მათ პრაქტიკულად ყველა დაავადებისგან. კიდევ 10 პროცენტს აქვს თანდაყოლილი იმუნოდეფიციტი: ისინი ავადმყოფობენ მძიმედ და ხშირად. დანარჩენი 80 პროცენტისთვის იმუნური სისტემის ძალა დამოკიდებულია ცხოვრების პირობებსა და წესზე.

აგრესიულ, მოჩხუბარ მამაკაცს უფრო მაღალი იმუნიტეტი აქვს, ვიდრე თვინიერ და ხათრიანს.

**იმუნურ უჯრედებს სჭირდებათ A, C, E და B ვიტამინები, აგრეთვე ისეთი მიკროელემენტები, როგორებიცაა სელენი, თუთია, რკინა. მათი უკმარისობა ანელებს ამ უჯრედების დაყოფას, ამცირებს მათ აქტივობას.**

აუტოიმუნური დაავადებების დროს იმუნური სისტემა ომს უცხადებს საკუთარი ორგანიზმის უჯრედებს, მიიჩნევს მათ უცხოდ. და მაშინ ჩნდება ისეთი დაავადებანი, როგორებიცაა ფსორიაზი, რევმატოიდული ართრიტი, სკლეროდერმია, აუტოიმუნური ტირეოიდიტი, წითელი მჭამელა, გაფანტული სკლეროზი...

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

**ბიჭმა სამი გოგო აიყვანა სახლში, დედას წარუდგინა და ჰკითხა:**

**— აბა, რომელია დედა, ჩემი საცოლე?**

**— მარჯვენა.**

**— კი მაგრამ, როგორ მიხვდი?**

**— როგორც კი შემოვიდა, ეგრევე ნერვები მომეშალა!**

* * *

**გურულის საყვარელს ქმარი მოუკვდება. გურულმა ერთხანს ითმინა, ბოლოს სძლია სულმა და დამწუხრებულ ქალს შეუჩნდა:**

**— აწი ქე მივხედოთ საქმეს...**

**— არა, კაცო, ეგრე როდის იქნება, ფეისბუქზე განათავსე შეტყობინება.**

* * *



**უფროსი ეუბნება მდივანს:**

**— თანამშრომლებს შეატყობინე, სასწრაფოდ თათბირზე გამოცხადდნენ!**

**— დავურეკო?**

* * *

**თუთიყუშთან მიდის ქალი და ეკითხება:**

**— კაცთან რომ დამინახო რას იტყვი?**

**— ბოზი, ბოზი, ბოზი...**

* * *

**— მამიკო, რატომ მოიყვანე დედიკო ცოლად?**

**— ხედავ ქალო? ბავშვსაც უკვირს!**

* * *

**თბილისელებს კახეთში ადგილობრივებთან ჩხუბი მოუვიდათ. ერთმა მასპინძელმა ყბაში მოსდო სტუმარს.**

**— ვახ, ჩემი დედა ... — ყვირის სტუმარი.**

**— რა დაარტყი, ბიჯო, იგეთი, უკუღმა რომ იგინება?**

* * *

**მიცვალებულს დასასაფლავებლად ამზადებენ:**

**— ჰალსტუხი არ გაუკეთოთ, არ უყვარდა საწყალს!**

**— კუბოში წოლაზე ხომ ჭკუა ეკეტებოდა!**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაია) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ზურაბ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24